


საქართველო




საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა ღამს.

№ 20

მ ა ი ს ი 11 1897 წ.

№ 20

შინაარსი: ალექსანდრე ეპისკოპოსის პნ ქლის იუბილეი.—ჩებულები და მათი ისტორია (დასასრული) გ. წერეთლისა.—სნვა-და-სნა ამბავი.—„კვლის“ კორესპონდენციები.—ბრმათა თვის მზრუნველობა ა. წერეთლისა.—კრიტიკული შენიშვნები დ. ალბანელისა.—* ლექსი ცხელი-სა.—საქართველოს ისტორიის მასალა, წარმოდგენილი თ. ჭიჭინაძისა.—თუშური სიმღერები.—მცრე შენიშვნა გ. წერეთლისა.—მე თუ ას (დასასრული) განდგეგლისა.—სალატორატურო შენიშვნები (დასასრული) დუღუ მგერეთლისა.—განცხადებანი.



ალექსანდრე ეპისკოპოსის პნ ქლის იუბილეი.

ამ მწუხარე ღროს, როცა გაუგებარი შუი და მტრობა აღტყინებულია საქართველოს შეიღოთა შორის, როცა მძა მძას უღესავს დაწას სრულიად მოუფიქრებლათ და ამით მტრის გულს ახარებს, ასეთი გონების სიბნელით მოცულს სამ შობლო არეზე აქა-იქ ნათელ-ფარსკელა-ეებათ მოკვიანობენ თითო-ორი-ოღა ღვწლშემოსილინი სასულიერო მამანი, იმათი მადლი თითქო ჯერ კიდევ

იმაგრებს საქართველოს ბჭეს შემუხერისაგან, ამ სულიერ მოღვაწე ცოცხალ მამათა შორის პირველი აღდგილი უჭირავს ღღვეანდელს იუბილარს, ჩვენს ღირსეულს საქართველოს მწყემს-მთავარს და მეცხრამეტე საუკუნის მნათობს საქართველოს ეკლესიისას, მამა ალექსანდრეს, საქართველოს არა-გნთველ ახსოვის მწუხარე ხანა, როცა ერი ყმათავითარების გამო ურწმუნოებისა და სასოწარკვეთილების ჯურღმულში ჩაფარდნილა, შველის სახსარა არსათ ყოვილა, და, აი, ამდროს თითქოს საღეთო განგებით მოვლენილან ზოღმე ღირსეულნი ეკლესიის მსახურნი, რომელთაც თვისი საკვირველი მოღვაწეობის მაგალითით კვლავ ჩაუნერგავთ დაცემული ერის გულში იმედი უკეთესის მომავლისა და განუახლებიათ იგი.

სწორეთ ასეთ ხანას შევეფერება ჩვენი ახლანდელი გათახსრების ღრო. მართლაც ქვეყნის საშველიათ ახლა ჩნდებიან თითო-ორი-ოღა ჩნეულნი ახალგაზდა ეკლესიის მსახურნი და ასეთი გარემოება უნდა მივაწეროთ ალექსანდრე ეპისკოპოსის მოღვაწეობის ყმთით გაღვენას. დაცემული და ღღმდის შეფინშნავი სასულიერო მოღვაწეობა ალექსანდრე ეპისკოპოსის მათვისი დაუცხრომელი ქველ-მოქმედებით კვლავ

აღამალა და უჩვენა ღირსეულ ახალ-გაზღობას მო-
მავლისას, თუ რასში უნდა იპოვებოდეს შემაერთებ-
ლი ძალა გაბნეული და დაქსქსული ერისა.

ცხრა მისს ერთ კლდეს ნაჭრალში, დავით აღ-
მაშენებლის მიერ აგებულ შიომღვიმის მონას-
ტერში, მადლობის პარაკლისი გადუხადეს მან წლის
დაუღალავი მოღვაწეობის გულისთვის იმ ღირ-
სეულს მსტოვანს წმინდა მამას, რომელმაც გუ-
ლის სიმშვიდით მიარიდა საფიქრობი ღიღებ-
ლდესასწაულობას თავისი მოღვაწეობისა და შეი-
ხვეწა მისგანვე განახლებულს ღიღებულს ღვარაში.

ალექსანდრე ეპისკოპოსი არის ძე უზბალო სოფ-
ლის ღვდლის მამა დავით ოქროპირიძისა.

იგი დაიბადა 1824 წელს, 1848 წელს მან
დაამთავრა კურსი თფილისის სასულიერო სემინარია-
ში და ბერათ ეკურთხა. ამას შემდეგ იგი გაზღვენეს
სახელმწიფოთ ხარჯით ყაზანის აკადემიაში. დაასრულა
თუ არა აკადემია, მან მიიღო მღვდელ-მონაწირობა
და მიეცა დიპლომი კანდიდატობისა ღვთის მეტყვე-
ლებაში.

მთელი თორმეტი წელიწადი მამა ალექსანდრე
მსახურებდა ბერ-მონაწირობის, ილუმენობის და არ-
წმინდღობის წარსინთს დასავლეთ საქართველოში; აფხაზეთიდან მკაცრდებული გენერალს მონასტრადმის
მისი მოღვაწეობა უნდებოდა ახალგაზღობის აღზრ-
დას, კეთილ მიმართულების დამკვიდრებას, ძველი
ისტორიული ნაგრეგების პატვის ცემას და დანგრე-
ული ეკლესიების განახლებას. რაც კი შეეძლო,
ფულითაც ემხარებოდა ღარიბ მოწაფეებს.

1862 წელს მამა ალექსანდრე აკურთხეს ეპის-
კოპოსათ და განაწესეს აუზაზეთში. 1869 წელს ალექ-
სანდრე ეპისკოპოსი აფხაზეთიდან გადმოიყვანეს გორის
და უბოძეს ხარისხი ქართლ-კახეთის ქორ ეპისკოპო-
სობისა. არ, ამდროდან იწყება განსაკუთრებით მაღა-
ლი მწყემს-მთავრული მოღვაწეობა ქართლ-კახეთის
საღვდლოების ასამალღობათ ზნეობით დაცემულა-
ბისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი წმინ-
და მამას მიუძღვის სამშობლო ეკლესიის გაშენიე-
რებაში მისი საეკლესიო ძველი მშენებობების დას-
ტამებაში და ქართლ-კახეთის ვალობის კილოს
აღდგენაში. მისმა უხემა შეწირულებამ განახ-
ლა ღიღებული შიომღვიმის ღვარა, ეს საყ-
ვარელო ადგილ-სამყოფელო დავით აღმაშენებლისა.
მისი ზე-გაგონით შესწორდა ქართული დაბადება
და გამოიცა იგი დასტამებული მხედრული ასოებით.
მისი სწავლის აღიბედა საღვთისმეტყველო თხზულებ-
მა ანტონი ქათალიკოზისა, ქადაგებანი შუამთის ეპის-
კოპოსის ამბროსი ნეკრესელისა და ლექსიკონი საბა
სულხან-ორბელიანისა. საკუთრათ იმის თხზულებათა

შორის შესანიშნავია საქართველოს საეკლესიო ის-
ტორია რუსულ ენაზე.

ამ ბოლოს დროს არც ერთი საზოგადო სა-
ქველ მოქმედო საქმისთვის დაწყებული ხელისმო-
წერა არ გამართულა ისე, რომ ალექსანდრე ეპის-
კოპოსს თავისი წვლილი არ მიეწვდინათ. სხვათა შო-
რის შარშან მან შეწირა საერო ზეპირ-სიტყვაობის
თავის ათი თამანი

ამდენ თავგანწირულ მოღვაწეობას ამ საქარ-
ველოს ეკლესიის სახელოვანის მამათ მთავრისას უნა-
ყოფოთ არ უნდა ჩაეგლო და მის წარჩინებულის მა-
გალითს უნდა გაეშეენიერებინა ღ ადგიმდლებინა სასუ-
ლიერო ასპარეზობა. მართლაც მის წმინდა გავლე-
ნას უნდა მიეწეროს ის საწუგეშო ვარემოება, რომ
ამ ბოლოს დროს უმაღლეს სასწავლებელში კურს-
დასრულებულები აღიკვეცენ ბერებათ და გაყვენ
სასიკადულო მსტოვანის მამათ-მთავრას კვლს. ჩვენ
შეგვიძლია ჩვენდა საწუგეშოთ აღენიშნოთ, რომ მი-
სი სულიერი მოწაფენი არიან უმაღლესი მისწრაფე-
ბით გამსჭვალულნი ღირს შესანიშნავნი მამანი ღვო-
ნიდი, კერპონი და დიმიტრი. იმეღო, ამით ღვაწლ-
შემოსილობა კიდევ ბევრს სხვა განვითარებულ ნიჭო-
ერ ახალგაზდა მოღვაწეს გამოიწვეს სასულიერო ყაზა-
ში სამკალათ და იმათა ერთგული მოღვაწეობა სამ-
შობლობასდი დადაგენს ვარეშემორტყმულს ძალას ერ-
თობისას, რომლის ზღუდეს ვეღარ დაარღვევს სატანა.
ასეთი წაყოფის იმედი მოგვეცა ღირსმა მამამ ალექ-
სანდრე ეპისკოპოსმა თავისი სახელოვანი მოღვაწეო-
ბით. ჩვენ ჭურნალ „კვალში“ უკვე იყუ დახატული
ღვაწლ-შემოსილი და სათნოებით სხვა სახე
ლოვანის ღვდელ-მთავრისა, მრავალ ვამიერ მ-სი სი-
ცოცხლე.

ჩეხელნი და მათი ისტორია. (1)

(დასასრული).



ლიერმა ჩეხურმა ლიტერატურულმა მოძრაობამ
მეტყობამეტ საუკუნის დამდეგს გამოაფხიზლა
მიძინებული ეროვნული გრძობა ჩეხის ხალ-
ხისა. წარჩინებულმა მისმა მოღვაწეებმა განვითარეს
ჩეხის ერი სწავლა განათლებით, ჩაუნერგეს ხალხს
ეროვნული აღორძინებისათვის სიყვარული და ყველა
მხრის ჩეხებლები ერთი წადლით გამსჭვალეს. ამ წა-
დლის პროგრამა იყო: ეროვნულათ თავის გადარ-

*) ის. კვ. აღი № 15.

ჩენა და თავის დახვეწა გაგვრმანელებსაგან. თვით პოლიტიკური გარემოებაჲ კარგათ უწყობდა ხელს ასეთს მიმართულებას, ამ დროს მთელი ევროპის ხალხები შინის ბორკილით ჰყავდა შემოკეცილი ევროპის სახელმწიფოთა კავშირს, რომელსაც ერქვა „საღვთო კავშირი“. ამ კავშირის განზრახვა ის იყო, რომ თუ რომელსამდე დამონებული ერში მოახდებოდა ამზობნება, ან თუ რომელიმე ერა თავის მთავრობას განუდგებოდა, ყველა სახელმწიფოებს ერთათ უნდა ემხარათ სახმედრო ძალა და განდგამილი ერი, ან აბუნტებული ხალხი დემოკრატებისათ თავის საკუთარი მთავრობისთვის. ეს „საღვთო კავშირი“ უფრო საფრანგეთის ერის საწინააღმდეგეთ იყო „უფროსული, რადგან ამ ხალხმა წარსულ საუკუნეში მოახდინა დიდი რევოლუცია, მეფის გვარი სიკედილით დასაჯა და მთელი ევროპის სახელმწიფოების თვითმპყრობელი უფლება შეაყუსტა. ზემოხსენებულ „საღვთო კავშირს“ მეთაურათ ჰყავდა თ. მეტერნიხი, რომელსაც თითქმის ყველა ევროპის ერებს შორის პატივად გამართული საიდუმლო პოლიცია, და მისი აჯებტები ხალხებს ყოველგან უთავი-თვალვადენ: იყო მუდამ ერთი საშინელი ღენა და შეეწროება გამართული, როგორც თავისუფლათ მოაზრებულებებისა, ისე მათი სტამბითა ნაწარმოებისა. რაკაკორეფლია, ასეთი სისტემა ევროპის სხვა-და-სხვა ტომთა და გვართა მართვისა არც ერთ განათლებულ ერს არ მოჴონდა და უქმყოფობდა შინაურ სახელმწიფოთა გამკეობაზე წლითი წლითაღმდეგ უფრო-და-უფრო ერუტლებოდა. საფრანგეთის ერი მაინც მეტათ უქმყოფილო იყო თავის მთავრობაზე, რომელიც ამ დროს ევროპის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური გავლენით ერთობ ჩამოქეციდა. საფრანგეთის ერი თავის მუხდალს და პირფერ მთავრობას ვერ აპატებდა ასეთ სიძაბუნეს, რადგან ახსოვდა დიდებული საერო კონვენტის ძლიერება და ნაპოლიონ პირველის ძლევა მოსილობა მთელ ევროპაზე. ამის გამო საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი საყუმბარო და სანაღმო მასალა იყო დგროვებული, რომელიც დლით დღე ელავდა ნაპერწყალს ამზობნებისას, რომ მთელ პარიზის ერს ერთბაშით ეფეტქა და მეფის გვარი ტახტიდან გადაეგდო. ხოლო დანარჩენი ევროპის ერები მაყურებელი იყვნენ, რას იტყვის საფრანგეთი, რომ იმის თავისუფლების ხმას ჩვენც მიეყვანდა და მონების ბოკალი ერთათ დეამსხერიოთა. განსაკუთრებით ასეთს ხმას ელოდენ ავსტრიის სახელმწიფოთს პირველი მინისტრის თ. მეტერნიხის მიერ დაჩაგრული ერები უფნარები, იტალიელები, ჩეხლები, პოზნანელი პოლონელები და კროატები.

მართლაც 1848 წელს თებერვლის თვეში იქუხა საფრანგეთში რევოლუციამ და ლუდოვიკოს ფილიპე ტახტიდან გადააგდეს. ხოლო იმავე წლის ოქტომბერს მოხდა ავსტრიის სატახტო ქალაქში, ვენაში, არეულობა და თ. მეტერნიხს კისერი მოტყდა. განდგენ უფნარები, განდგენ იტალიელები, ამათ თან მიჰყვენ ჩეხლებიც. ავსტრიის ხელმწიფე და მისი ოჯახობა, თავის სატახტო ქალაქს განშორებული, ინსპრუკის ქალაქში დაცემულ სახმედრო ბანაკში იმალებოდა. მართლაც, ამ დროს რომ რუსეთის ხელმწიფეს, იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, თავისი ჯარები ან მიეშელებინა, ავსტრიის სახელმწიფო, ის იყო, უნდა დარღვეულიყო და იმის ხელქეცილ მყოფი ერები სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას უნდა ღირსებოდენ. რუსის ჯარებმა უფნარის ერი დაამარცხეს და დაამხედეს; რადგეკიმ ჩრდილოეთის იტალია (ლომბარდო ვენეციის საკაროლო) კლავ დაიპყრო; ამათ მოჰყვა სათითავთ სლოვაკებ-კროატების და პოლონელების დამორჩილება. ბოლოს თვით განდგამილი ჩეხიც უნდა დამორჩილებოდა ისევე თავის უწინდელ უფნარებს ხედრს.

როცა ევროპის ერთა ამზობნება ჩაღვა ისევე თავის კალაპატში და შეშინებულმა ჰაბსბურგის დინასტიამ კლავ იბილა მშვიდობით თავისი სატახტო ქალაქი, იგი ჩაერდა დიდ საგონებელში. მის სახელმწიფო კაცებს დავეალათ შემდეგი მიძე საქმე; უნდა დეადგინოთ ისეთი სახელმწიფო წესწყობილება, რომ სხვა-და სხვა მოდემისა და სხვა-და-სხვა ერის ღ თვისების ერები განიცებოდენ ისე, რომ ავსტრიის სახელმწიფო გამეკება ყველას აქმყოფობდესო ღ ერთმა ერმა მეორეზე უპირატესობა არ გამოიჩინოს არც კანონმდებლობაში და არც პოლიტიკურ უფლებათა მეტ-ნაკლებობითა.

ასეთს მიმართულებას სახელმწიფოთა გამეკობისას მართლაც დიდი მოსაზრებაჲ და ხანგრძლივი მუშაობაც ეკებებოდა, სანამ ავსტრიის სახელმწიფოს საერთა-შორისო წესწყობილება იმ წერტილამდე არ განეთარდებოდა, რომ ყოველ ტომს, ყოველ ერს თავისი საკუთარი, შინაური, სხვის დამოუკიდებელი გამეკება, სამართალი და ენა ქონებოდა, აპსთანავე საერთო სახელმწიფოს ძლიერებაჲ გამტკეცებულიყო, და მისი საერთო ინტერესიც დაცული ყოფილიყო.

აი, ამ განზრახვით მეორმოცდაათ წლებს დამდგეს მთავრობამ შემოილო წარმომადგენლობითი წესწყობილება. ყოველ ავსტრიის ქვემდებარე ერს თავის წარმომადგენლები უნდა ჰყოლოდა ვენის სატახტო ქალაქში და იქ იმათ სახელმწიფო ჩრევაში (Reichsrath) თავთავანათ ერების ინტერესები დეაცვათ. მაგრამ აქედანაც არა გამოვიდარა, სხვა-და-სხვა

ტომების წარმომადგენლები იჩიოდნენ ისეთი დიდ-
ბული გვარებისაგან, რომელნიც უფრო იმპერატო-
რის, ვინაჲც პარკელის, ყუბრმოჭობილი ყმები იყვენ, მისგანვე ძვირფასი საჩუქრებით და ჯამგირებით მო-
ყიდულები, ვიდრე ერთგულნი თავის ერისა და მისი
კეთილმდგომარეობის მიძინებლნი. ამ დროს სხვა-და-
სხვა ტომის ერები მაინც გერმანელების ბოროტად
ქვეშ იყვენ, სწავლა-განათლება გერმანულ ენაზე
ჰქონდათ, თეთონ დამორჩილებულ ხალხებს ართმე-
დენ აურობა სახელმწიფო ხარჯებს და, საღ მიდიდა
ეს უფლო. უმაღლესი მთავრობა იყო მარტო ჯარების
გამოწყობაში და სახელმწიფო მიხედელების უხეთ
დაჯილოდებაში გართული, ხოლო ხალხის კეთილ-
მდგომარეობაზე კი არაჲინ ზრუნავდა. ამასგარდა ცალ-
ცალკე ტომებს თავის საკუთარი გამგეობა არ ჰქონ-
და და ახალთაბასაც გერმანულ ენაზე ზდიდენ. გამ-
გეობაში და სამართალში არც ერთ დამონებულ ხა-
ლხის ენას არ ხმარობდენ, სულ უცხო გერმანულ
ენაზე იყო გამგეობა-სამართლის წარმოება. ჩხელებს
და სხვა მოდგმის ერებს ასეთი წეს-წყობილება არ
მოწონდათ და ძლიერ დრტინავდენ.

1859 წელს საფრანგეთმა ავსტრიის სახელმწი-
ფოს ომი აუტება და ჩრდილოეთის იტალიის ერთი
ნაწილი წაართვა. ამ ომში დასუსტებულს ავსტრიის
მთავრობას უენგრელებმა, პოლონელებმა და ჩხე-
ლებმა შეუკრა გამოუცხადეს; თუ ჩვენ ჩვენი შინაუ-
რი მართვა გამგეობა არ მოგვეყო, ამბობენბას მოვაზ-
დენთო. მართლაც, მთავრობამ მოიწვია მინისტრათ
პოლონელი; თავადი გოლუხოვსკი, რომელმაც შეა-
დგინა ახალი სახელმწიფო წესდებულება (კონსტი-
ტუცია). ამ წესდებულების ძალით ეენაში დაარსდა
სახელმწიფო რჩევა და წარმომადგენელთა დარბაზი
(Herrenhaus); ამას გარდა ყოველ ერს თავისი სა-
კუთარი გამგეობა მიეცა, რომელსაც უნდა გავგზავნა
ენაში რამდენიმე წარმომადგენელი. მაგრამ ამ წეს-
დებულების ძალითაც როგორც თვით ხალხებში, ისე
ენაში იჩიოდნენ მხოლოდ მთავრობის მომხრე კა-
ციები და არა ნამდვილი თავის ერს წარმომადგენ-
ლები. ამის გამო საზოგადოთ თითოეული ერის მარ-
თვა-გამგეობა მაინც ბევრით არ გაუმჯობესებულა.
ყოველი ერთ უწყაყოფლოთ შეჰყურებდა ავსტრიის
მთავრობას და ეძებდა მარჯვე დროს, რომ საერთო
ავსტრიის მთავრობისთვის ძალია დაეტანებინა და ში-
ნაჲან გამგეობაში უჯრო ხალხის გულშემატკივარი
მმართველობა დაემკიდებინა.

ამ მდგომარეობამ გაატანა 1868 წლამდის. ამ
წელს პრუსიამ დაამარცხა ავსტრია და განაძევა გერ-
მანიის კავშირიდან. აი, ამას შემდეგ რაკი ავსტრია-

მთავრობა გათავისუფლდა სახელმწიფო პოლიტიკა-
ში დიდი გერმანიის ხალხის ზეგავლენისაგან, მერე
სიყვარულით მიჰბრუნდა თავის დამონებულ ერებს:
უნგრებს, პოლონელებს და ჩხელებს ჯერ უენგ-
რიის ერს მისცა სრული თავისუფლება შინაჲან გამ-
გეობაში, ალაღინა უენგრიის სამეფო და დააღვა
თაზე ძველი უენგრიის მეფის სტეფანეს გვირგვინი,
მერე პოლონელების პოლიტიკური ცხოვრება დააყე-
ნა წარმატების გზაზე, ნება მისცა იმათ ენაზე ყოფი-
ლიყო საერო გამგეობა, სამართალი და საერო გა-
ნათობა. კრაკოვის უნივერსიტეტი ამიერიდან პო-
ლონურ ენაზე დაადგინეს ყოველნაირი მეცნიერების
დარგის შესწავლა. ახლა დარჩენ მხოლოდ ჩხელები,
რომელთაც თუმცა შინაგანი გამგეობის უფლება მიე-
ნიჭათ, მაგრამ არაფერს ნაირათ ნება არ მისცეს ამ
ხალხს, რომ ჩხეური ენა სახელმწიფო ენასთან თან-
სწორათ განხელმწიფებულიყო, როგორც საერო გამგე-
ობაში, ისე სახელმწიფო სასწავლებლებში; არასფრის
ნაირათ არ აძლევდენ ნებას, რომ ბოჰემიაში პრაციის
უნივერსიტეტი პოლონურად ჩხეურ ენაზე ეკითხათ
ლექციები. ჩხელებმა 1870 წლიდან გამოიღვეს თა-
ვი და ებრძოდენ ავსტრიის მთავრობას საერო კრე-
ბებში თავის ენისა და ეროვნების თვით არსებობის
გულსითვის. იმათ განსაკუთრებით დაუწყვეს იღუბება
როგორც უენგრებს, ისე პოლონელებს მისთვის,
რამ როცა ამათ თეთონი მოუბოვეს სრული უფლე
ბა თავის სამშობლო ენას და დაადგინეს საერო გა-
მგეობა, მერე ჩხელები მართავეს და მშარს აღარ
უჭერდენ. ამიერიდან ჩხელები, მართათ-მართო და-
რჩინილნი, მაინც არ უდებდენ გვერდს მთავრობას
და თავგამეტებით იბრძოდენ თავის ნაციონალური
თავისუფლების ასაღვენათ.

1870 წელს, რაკ საფრანგეთ-გერმანი ს ომი
ატყდა, იმ დროს ავსტრიაც ემზადებოდა საიღუპლოთ
ომიანობისთვის; ეინიცობაა ჰუსია რომ დამარცხე-
ბულიყო, ავსტრიას უნდოდა ესარგებლა პრუსი-
ის შეიწროებული მდგომარეობით. მაგრამ ამდროს
ჩხელებმა წამოჰყვეს თავი და მოითხოვეს თავისთვი-
ლს იგივე უფლებანი, რაც უენგრებს და პოლონე-
ლებს ჰქონდათ მინიჭებული. ჩხელებს უნდადთ
შინაჲან გამგეობაში და სამართალში დამოუკიდებლ-
ნი ყოფილიყვენ, აკრთევე ჩხეური ენა სამართალში,
გამგეობაში და სკოლებში გათანასწორებოდა გერმა-
ნულ ენას, ბილოს ისიც სურდათ, რომ ჩხელების
მეფის ენცელის გვირგვინით კურთხებულიყო პრ-
ავში ავსტრიის იმპერატორი. რადან ეენის მთავრო-
ბამ არ აუხრულა ჩხელებს მათი წადლი, ამისთვის
ჩხელებ წარმომადგენლები გამოიღვეს სახელმწიფო
რჩევიდან (Reichsrath) და ბოჰემიაშიაც დახურეს თა-

ების საერო სხდომა. ამ მდგომარეობაში დასყუეს ჩეხელებმა შეიდი წელწაღი. ჩეხის ერთი თან-და თან უჭრა აღუღდა; ბოლოს ჩეხის სუკეთესო წარმომადგენლებმა რუსეთისკენაც კა ვაიწდინეს ხელი, გაზაუნეს მოსკოვის პანსლავურ კომიტეტის სხდომაზე თავისი ისტორიკოსებმა პალაცკი და რიგერი და ე უჭრებოდნენ მთავრობას, თუ ჩვენს სურვილს არ დაგვიკმაყოფილებთ, მზათ ვართ, რუსეთი მოვიწვიოთ. ასეთმა ბრძოლამ ჩეხელებსამ ძალიან დააფიქრა ფრანც-იოსები და მისი მთავრობა. ის ნელ-ნელა შეურიგდა იმ აზრს, რომ თუ ავსტრიის სახელმწიფოს მსურს მოავგოს თავისი ერების გული, უსათუოთ ყოველ ერს უნდა მიანიჭოს საკუთარი შანავანი გამგეობა და განათლება მის სამშობლოს ენაზე. ჩეხიაში ამას შემდეგ კიდევ დიდხანს გაგრძელდა ბრძოლა, სანამდის იგი მიიღებდა სრულს უფლებას თავის ენისას, რადგან შიგ ჩეხიაშივე ბევრი გერმანიის თავაღ-აზნაურობაა ჩასახლებული, რომელნიც მთავრობას ნიადვავ თხოვენ, რომ არამც და არამც ჩეხელებს არ მისცეთ მათი ენის ხმარების უფლება, რადგან ჩვენ გერმანელები ვართ და უპირატესობა გერმანულ ენას უნდა ჰქონდესო. მაგრამ ბრძნულმა მიმართულებამ მთავრობისამ სასწორი მართ ჩეხელებისკენ გადასწია და ბოლოს ამ 1897 წელს ჩეხელების ვილირათ შინაური დამოუკიდებელი გამგეობის დამყარებასთან ჩეხურა ენის ვაბატონებას.

ეს საქმე მოახდინა მინისტრმა ბადენიმ, რომელიც თვით პოლიონელია და ჰაუსის, რომ ავსტრიის სახელმწიფო ფედერატულ სახელმწიფოთ ვახაჯოს. ფედერაცია ქართულათ ნიშნავს ერების საკავშირო ხელშეწივობას. მისი აზრით, რადგან ავსტრია ბევრი სხვა-და-სხვა მოდგმის ერებისავე არის შემდგარი, ამისთანა სახელმწიფოს გასაძლიერებლათ საქროა, რომ ყოველი ერთი თავის შინაურ საქმეების მართვაში იყოს თავისუფალი და თავის სამშობლო ენაზე აწარმოებდეს საქმეს. მხოლოთ ამ შემთხვევაში შეიძლება დამონებული ერთი ვახდეს ერთგული მთელი საკავშირო მმართველობისა, რომელიც უნდა იყოს წარმომადგენელი ყველა ცალკე ერებისა და იმათ საზოგადო კეთილდღეობისათვის უნდა ზრუნავდესო; მაგიერათ თათოკული ერთი ერთგულებით უნდა ასრულებდეს საერთო სახელმწიფოს მთავრობის ბძანებას. აი, ამ შემთხვევაში ავსტრიის იმპერატორი ხდება ავსტრიის ერების საერთო გამგეობის თავმჯდომარეთ, როგორც ამერიკაში შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ახლანდელ ავსტრიის მინისტრებს ეს იდეალი აქვთ გამობატული და, აი, ამის გულისთვისაც მაინიქს ჩეხელებს სრული უფლება, რომ ჩეხურ ენაზე აწარმოან საერო საქმეები. რაკ ეს ფე-

დერატული პრინციპი გამტკიცდება ავსტრიაში, მერე შესაძლებელია სხვა წერილმანი სლოვენთა ერებ-ც შევიდნენ წევრებათ ავსტრიის საერო და სახელმწიფო საკავშირო დაწესებულებაში.

ამ სტატიის მასალათ გვერდნა ნემეცურა თხულება: A. Huber, geschichte Österreichs (Bd. 1—4, Gotha und Prag 1892.)

ბ. წარუთუა.



სხვა-და-სხვა ამბავი.



მა გავრცელდა თბილისში, ეითომც საუინანსო მინისტრს ვაუთქმებია თბილისის სათავაღ-აზნაურო ბანკის უკანასკნელი არჩენენი.



ოთშხაბთს, მისის 7 მემკვიდრე ცესარეინი მობობანდა შორეულ მგზავრობიდან კავკასიაში. მისი გემი „კოცაგი“ ნაშუადღევის პირეულ საათზე მოაღვა ბათუმის ნავსადგურს. აქ მის იმპერატორებით უმაღლესობას მიეკვებენ: კავკასიის მთავარ-მართებელი გოლოკინი, ქუთაისის სამხედრო ლებერნატორი შალიკოვი, თფილისის ლებერნატორი შარვაშიძე, კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი ბოგუტცი და სხვ. მემკვიდრე-ცესარეინის, სხვათა შორის, მგზავრობაში თან ახლდა კავკასიის მუშეულის დირექტორი, მეცნიერი რადე.



ამბობენ, რომ მიურატის ოჯახის სანახავათ ამ ზაფხულს მოვა ზუგდიდს იმპერატორის ნაპოლეონ მესამის ქერიე, ფარანგეთის იმპერატორიკათ ყოფილი მმანია.



მისის 8 აკურთხეს თფილისში ახლათ აშენებული დიდი საუფლისწულო ლენის სარდაფი; კურთხევაზე დავსწრენ თფილისის მაღალი წოდების წარმომადგენელი. სხვათა შორის საუფლისწულო ლენის სარდაფის ზედამხედველმა ბნ მარტინოვმა წარმოთქვა, რომ საუფლისწულო მამულები კავკასიაში აქაურ მეურნეობას დიდ წარმატებას მისცემსო.



წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

გამგეობამ მიიღო ნებართვა ლოტარია-ალეგრის გამართვისა, მუშტაილის ბაღში მაისის 25 რიცხს. საზოგადოების გამგეობას ახლავ მოულის მრაველი შემოწირულობა ამ ალეგრისთვის.

* *

კაცკაისის სამხედრო ლუბერნატორებს მოუმატეს ჯამაგირები, ასე რომ ამიერიდან დალისტნის სამხედრო ლუბერნატორს ექნება წლიურათ თორმეტი ათასი მანეთი, ყარსისას ათი ათასი მანეთი და ქუთაისისას თორმეტი ათას ხუთასი მანეთი.

* *

მაისის 28 რიცხს იქნება დანიშნული თფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო მორიგი კრება სხვათა შორის იმის განსაზღვრათ, რომ საქრთა თუ არა თფილისის გუბერნიაში ერობის წეს-წყობილების შემოღება.

* *

მაისის 18 რიცხს დანიშნულია ქალაქის არჩევანები თფილისის კლუბის საზაფხულო ადგილ-სამყროფში.

* *

სომხის საქველ-მოქმედო საზოგადოებას ეპქარმა ხუდაღოგმა თავის სიკვდილს შემდეგ უანდერძა ასოცი ათასი მანეთი.

* *

მთავრობას გადაუწყვეტია, რომ უმაღლესი სატენიკო სასწავლებელი-პოლიტენიკურა ქალ. გლადიკევაზში უნდა გაიმართოსო, თფილისის ქალაქი კი დარჩა რიყეზე.

* *

თფილისის გამგეობამ მიიღო შვიკიურის ასაკურელი წრბოლი, რომელიც მან დაიბრა პარიზიდან პასტერის ინსტიტუტიდან.

* *

ჩვენ მივიღეთ წიგნაკი, ბეგრატ დლოიძის მიერ შემოკლებით ნათარგმნი ჯონ ლებოკის თხზულება „წიგნების ქება“. წიგნაკი ღირს სამ კაპეკათ. მხოლოთ არ შეგვიძლია არ შევნიშნათ, რომ პატიეცემულ მთარგმნელს ქართულათ სიტყვის „დღონის“ მართლ-წერაში შეცდომა მოსვლია. „დღონი“ რუსულათ არის, ხოლო ქართულათ „ჯონი“ უნდა იწერებოდეს.

„კვალის“ კორესპონდენციები.



სოფ. ლეღვა (ქობულეთში) მდ. ჩოლოყზე მდებარეობს, რომელიც გუჩიას და ქობულეთის ერთმანეთისაგან ჰყოფს. აქვე ახლოს არის ალამბარი, მუხა-ესტატი, ჩურუქსუ და სხვა სოფლები. ლეღვაში ცხოვრებს ასზე მეტი ქართველ მამალიანი, აქუერი მდებარეობა მთა-გორიანია, რომელიც ხშირი ჩირკენარი ტყით და გაუყვლი გვირით შემოსილია. სწორეთ აქ შეუძლია აე-კაცს თავისი შეფარება მდგენელებისაგან. აქუერი გზებზე საკვირელათ ვიწრო და მეტათ აკიბულ-დაკიბულია. ფეხით თუ გაატანს კაცი და ან ცხენით ვი-ვაკლახით, თვარა სხვაფრიე მგზავრობა აქეთ შეუძლებელია. გაზეთის მკითხველებს იქნება ენსომეზოდესთ, რომ შარშან გაზაფხულზე აქ მოკლეს ალამბარელი მამასახლისი ქალის მოტაცების თვობაზე. მკვლეელი საფრიელ-ოლლი თავისი თანამსლებლებით (7-8 კაცი) გაიქცა აბრაგათ ტყეში და აქ თითქმის 5-ს თვის დაჰყო. ამათ აქ არავითარი უწყსოგება და აეკაცობა არა ჩაუდენიათ რა და ზამთრის პირას დაბრუნდენ თაეინათ სახლებში, რადგან შიში აღარა ჰქონდათ; მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ ზოგერთი მათგანი მაინც შეიპყრო და საქმე შეუდგინა. ახლა ამ ცოტა ხანში ამათი საქმე ირჩევა და კარგი იქნება ყურადღება მიაქციონ, რომ სიმაართლეს პატივი მიაპყრონ და მიდგომ-მოადგომილობით საქმე არ გააფუქონ და უბრალოთ არ დასაჯონ კაცი. უსათუოთ არც ქალი დამალავს თავის დანიშნულის ერთგულობას და სიყვარულს. აი, საქმე რაში მდგომარეობს: მკვლელობის ორი წლის წინეთ შემომოყვანილი საფრიელ-ოლლი დანიშნა მამასახლისის მოყვრის ქალზე. ეს მამასახლისი მოამდურავათ იყო სასიძოხსთან და საქმის ჩაწლა მოინდომა და შეუთვალა: „ესი მანეთი გამომიგზავნე, თვარა საქმეს ჩაგვიშოლ“. საფრიელ ოლლიმ ფულზე უარი განუცხადა. მამასახლისიმაც თავისი მუქარა აასრულა. საფრიელ ოლლიმ დააპირა ქალის მოტაცება, მაგრამ მამასახლისიმ მალე შეუტყო ეს განზრახვა, შეიპყრო და პოლიციას გადასცა; პოლიციამ ორი საპატიო კაცის თვდებობით გაათვისუფლა, ხოლო პირობა ჩამოართვა, რომ ქალი აღარ მოეტაცა და ქალიც თავის მხრით მგზობლობაში არ გათხოვილიყო. მაგრამ ქალს მაინც პატარა ხან შემდეგ დაუპირეს გათხოვება. საფრიელოლლიმ გაიგო თუ არა ეს, ისირცხილია და დააპირა ხელ-მეორეთ მოტაცება. ერთხელ, როდესაც ქალის დედ-მამა ეანაში მუშაობდენ, საფრიელ-ოლლიმ იღროვა და შეიარაღებული კაცებით შუადლისას ქა-

ლი მოიტაცა, ჩააცვა საბატარძლო ტანისამოსი და ტყეში გააქანა. ამავე საღამოს უნდოდათ გვეგზავნათ მოციქული სასიამაობროსთან შესარიგებლათ, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. ტყეში მალე მოესმათ მექარაწილეებს თაფების ხმა. საფრთხლოდლი იძულებული გახდა თავის მხრითაც გაესროლა თაფი, რომლის შედეგი ის იყო, რომ მამასხლისი მოკვდა და მისი მხლებელი ზაფითი დაიჭრა.

მესხი ბ. გვაჩაძე.

* *

სოფ. წყვ. ეს სოფელი ყველას ენახება შორიდან ვისაც მატარებლით იმერეთისკენ უმარგზავრია და სადგურ ძირულა და შორაბან შუა ყურადღება მიუქცევია. მაშინ იქ შეამჩნევდნ მის წყვრზე მოსახლეებს, რომელიც შევიცარას წარმოვიღვენთ. დიახ ეს ვახლავთ სოფ. წვეა მრავალის სიშენიერით და ბუნებით უზეთ შემეკული. ეს სოფელი მდებარეობს უზარ-მაზარ მთის წვერზე; თუმცა მგზავრი სანამ იქ ავიდოდეს ბევრს სიჭარბეს იგრძნობს დალაღის გამო, მაგრამ, მერე აქ პოეტის სიტყვები მოგაგონდებათ:

„ფერ მწაჭე ჭაქი, გვლვე ტუბილი,
თუ კუბ გემოვნებასა“.

სამაგიეროთ იქ რომ ახვალთ, დატყებით შეენიერი ბუნებით: აქ თქვენ თვალს გადავშლება თვალ-გაღუწუნველი მინდარი, ალა-ალაგ ტყით მოსილი; მაღლიდან საამურათ დაპყრებთ მდინარე ძირულას და, რკინის გზის დინდას, რომელზედაც მოსარაღე მატარებლები ბუზის ტოლათ-ლა ჩანან. კაცი ამ სოფელში ყოფნის დროს ნეტარათ თელის თავის თავს, მხოლოთ აქ შეუძლია კაცს ამოისუნთქოს თავისუფლათ ზე ამ უკანასკნელ შემთხვევასთან, რაღა თქმა უნდა, კაცი უფრო მეტსა გრძნობს. როდესაც დატყებით ამ შეენიერი ბუნების ცქერით, მაშინ თქვენ სხეულში რაღაც მოშლილობას იგრძნობთ, გულზე ზოდმები მოგაწვევთ, სული ყელში მოგეჩრებათ და საქმით რომ იერას ვახდებთ, თვალბში ცრემლები მოგადგებათ, მხოლოთ ბუტბუტებთ: „ო... ო... ო... ხ... ხ... როდის იქნება?..“

ასეთი იყო ჩემი მდგომარეობა 20 აპრილს. ამ სოფელში მე ვახლდით მიწვეული ქორწილში აღ. გაჩეჩილადისას. თითქოს ამ სოფლის ხალხსაც უგრძენითათ თავისი ტყვილი და ყველა ერთის მიმართულებით იბრძვიან და ბევრი მხოვანის გულისცემა ჩემს ტანჯვას უერთდებოდა. დიახ, ასეთ მდგომარეობაში ვახლდით თითქმის ყველა მოწვეული სტუმრები. მერე დღეს, რადგანაც მე აღრე მინდოდა წამოსე-

ლა, თუმცა გული კი მიწვდებოდა ამისთანა ბუნების თვალის მოშორებაზე, მაგრამ შემთხვევა ნებას არ მძღვედა. სუფრა აღრე გაშალეს, სადაც ისე შემოიყოლიეს და გამიტაცა სურვილმა, რომ ნაშუადღევის სამ საათის დავიჩი: ოჰ! ღმერთო ჩემო, რა სადღევარძლოები გინდათ და სიტყვები, რომ ამ სუფრაზე თავისუფლათ არ წარმოიტქვა; სულგანაბლური უგდებდნ ყურის ერთი მეორეს და ძმური დარიგებები გულობდათ, რომ იმათ გულში რჩებოდათ. აქ იგრძნობდა კაცი, ვისაც კი ცოტადენი სიყვარული მიუძღვის თავის სამშობლოსი, აესაც და კარგაც. რამდენსამე სიტყვებს შემდეგ იქაური სკოლის მასწავლებელი ბანი ახესადის თხოვით ჩვენ შევიაროვეთ სუფრაზე ხუთი მანეთი „გვიგლისი“ დასაკეთათ სკოლისათვის, რომელიც ამ წელიწადში აღარ ღებულობდა. უგულისთავდეს მაღლობას გუძღვნით ყველას, ვინც წვეის პირველ დაწვებით სკოლას ასეთი კეთილი საქმე უყვებს.

ილია ნადირაძე.

* *

ქ. ფოთი. მდამ ხმა დადიოდა, პირველი მისი ფოთელისათვის მეტათ შესამჩნევი დღე არისო? მართლა, რომ მეტის-მეტი რამ ყოფილა ეს დღეობა: აქ ჯობრობით ბურთაობა ცოდნით გურულეებს და მეგრულეებს. ქ. ფოთი მეგრულებით აესებულობა და წინა დღიდან მატარებელი ვერ აუთავდა სენაკის და ზუგდიდის მატარებლიან მეგრულეების ზიდვას. წირვის შემდეგ ისე გამოიტენა ხალხით (მეგრულებით) „პარკი“ (სათამაშო ადგილია), რომ კაცი-კაცს გვერდს არ აუტყვევარ; გურულეები ისე ცოტა იყო, მერიქივით არ ეყოფოდათ მეგრულეებს. ნაშუადღევის 4 საათზე ბურთი ვაგორდა და ზედ მეგრულეების შტენა-კვირას სახლვარი არ ჰქონია. კაციან-ბურთიანათ უცრათ უნდა მიეჩანათ ლელოზე, მაგრამ შავარდენივით გამოუქროლეს ორმოციოდ გურულეებმა ჯიშედ ბერეყანის არტელოდან, დარინდ მეგრულეებს და ნახევარ საათის განავლობაში ბურთი ლელოზე მიარბენეს. გულ-დაწყვეტილი მეგრულეები ერთმანეთს ებასებოდნ: „ღვეილუბით, კაჩი, გურულევიმ მორჯკინესო“ (ღვეილუბით, კაცი, გურულეებმა გვაჯობეს).

ს. წასატაშვილი.

* *

დასა ხონი. „კელის“ № 17-ში დასტაშული ხონიდან კორესპონდენცია, ჩემის აზრით, ითხოვეს

გასწორებას და ამისათვის გთხოვთ უმოაჩილოსათ, ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ ქურნაოში ამ ჩემ შენიშვნას, ხოწში სახალხო საქითველოს და არსება უკვე გადაწად ერთი წლის წინეთ, სანამდის ბ. „მეცანი გ. შ.“ კალამს აიღებდა სადიდებლათ ი. შარაშიძისა. სასარგებლოთ მომაველი ხონის წიგნთ-საცავისა იმავე დროს ინტელიგენციის თოასნობით შეიკრიბა 150 მანეთამდის და შედგა სია მონაწილე-თა, რომელთაც იკისრეს წლიური შემწეობა შეძლე-ბისა-და გვართ აღმოუჩინონ ხონის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს.

სამწუხაროთ ამა სიაში, რომელიც დღესაც მე მაქვს, არც ივანე შარაშიძე ირცხება ხელის მო-მწერთა შორის და არც ბ. „მეცანი“. ნება-დართვა, საიდანაც ჯერ-არს, ნათხოვნია ცხრა თვით წინეთ კორესპონდენციისა, მაგრამ განაჩენი ჩვენ თხოვნა-ზე ჯერ კიდევ არ მოგვსელაია სხვა და სხვა მიზეზე-ბის გამო. — მე მივიჩნის მხოლოთ ის, როგორ და-ეგართ ბ. კორესპონდენტს, სწავლა-განათლებელზე უანგარო მზრუნველს, რომ გამოაპრეია ის დიდი სა-ლაშობები, სადაც უხვათ იკრიბებოდენ ხონის მავრის სტუდენტები და სხვა პირნი, რომელთაც ჰქონდათ ბევრ გვართ სასაშობო ბასი შესახებ სახალხო სამკითხველოსი, რათა მათ გამოერკვიათ საუმჯობე-სო მისი „ტიბი“ ხონის ნიადაგისთვის ვარვის.

ქ. ქ.

ბრმათათვის მზრუნველობა.

ბაზის განვითარებამ და წინსვლამ უყურადღებოთ არ დატოვა ბრმებიც. ცხოვრებ-ს პრაქტიკაში ამთხედაც იზრუნა, მართალია მხოლოთ ას წელიწადზე ცოტა მეტა, რაც დაწყეს ბრმებს უნეტუო მდგომარეობაზე ზრუნვა, მაგრამ საბრალოებს, თუმცა გვიან, მაგრამ ბოლოს მაინც დიდი ნეტუმი მიეცათ.

1783 წ. ვალენტიან გაიურ ერთხელ პარიზში ყავახანიდან რომ გამოდიოდა, შენიშნა გროვა მუსიკის დამკვრელებისა, რომელნიც თუმცა სულ ბრმები იყენ, მაგრამ შეწერეთათ არჩევიდენ თეთრ ფულს შე-საგან და თითოეულს ღირებულობაც გამოანგა-რომებული ჰქონდათ. ამ უბრალო შემთხვევამ და-ფიქრა გაიური, მან შენიშნა რომ ბრმებს საკვირველი ნაზი მკარანბელობა ჰქონდათ თითებზე და მოინ-დომა მათ სასარგებლოთ გამოუყენებინა ასეთი თვისება. ამის აზრი ყველამ თანაკრძნობით მიიღო და ერთ წელიწადზე დაარსდა საფრანგეთში ბრმათ-თვის პირველი თავმესაფარი

ყველაზე ძნელი მათი წერა-კითხვის შესწავლა იყო. გაიური მოაგონა გამობერილი მოძრაე ასოები და თითების შეხებით ბრმებს ასწავლიდა ერთი ასოს გარჩევას მეორისაგან. რაკი ასოების გარჩევას შეე-ჩვეოდენ, მერე ადვილათ შეადგენდენ სიტყვებს, წი-ნადიდებს და მერე წაკითხავდენ კდევც. ბოლოს გაიური განიზრახა მათთვის წიგნებიც დავსტაზა. დი-დი ასოები, რასაკვირველია, გამობერილი დასტამბე-ვინა და ბრმები შეეჩვიენ თითების შეხებით სწრა-ფათ წიგნის კითხვას.

ერთმა ბრმამ გაიურის თავმესაფარში გამოზილი-მა გააოცა სწავლულთა აკადემია და ამ ასოების მო-მგონელი უხვათ დააჯილოდაც.

გაიური ბოლოს მთელი ინსტიტუტუციც დააარსა ას ოც მაკირისთვის. მერე გაემგზავრა ბერლინში, პეტერბურგში. ყველგან დიდ თანაგრძნობას უტყადე-ბდენ. მაგრამ თავის კეთილი საქმის ნაყოფი ბევრი არა უნახავსრა. 1847 წელს იგი გადაიცვალა საფ-რანგეთში.

ბრმებს სწავლა განვითარება შემოიღეს მთელ ევროპაში. ყველგან გამართეს ბრმათა თე მესაფარი და ამითი შეუმსუბუქეს ბუნებით დაჩაგრულებს მწა-რე ხეივრი; იმათ მიეცათ საშუალება არა თუ ლუქ-მა პურის შოვნისა, სულის სიმშვიდისაც

სტატისტიკამ გამოაკვლია, რომ თითო ბრმა: გერმანიაში 1100 კაცზე, ევროპტეში 300 კაცზე, ნორვეგიაში 737 კაცზე, რუსეთში 500 კაცზე, სა-ფრანგეთში 950 კაცზე და გოლანდიაში 2222 კაცზე.




ბრმათათვის წიგნების შემზადება.



ხშირათ ბრძემის მასწავლებლათ თე-თ ბრძემი არიან. ამათ მეტადრე მუშეკალური ნიჭი აქეთ: ისინი მუშეკის მასწავლებლათაც გამოდგებიან ხოლომე და ეკლესიებში არღნებზე დამკერელათაც. ხუთასზე მეტი ბრძმა ამ ჭამათ მუშეკის მასწავლებლათ. აგრეთვე ფორტაპიანოს მოამართავიაც დახელოვნებული არიან, რადგან ყურათა სმენის სიმახვილე შევლით. ზოგი ერთი ხელომაც ძალიან ემარჯვებათ, მეტადრე ძუით საწმენდების გაკეთება. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში 1889 წ. რამდენიმე ბრძმა ქალი შვიდი ძუით დიდი სისწრაფით აკეთებდა ჩოთქებს და შიგა-და-შიგ ატანდენ თერთ ძუას ისე, რომ გამოსულიყო ციურები 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა.

პირველ დაწყებითი სწავლა ბრძმათათვის ძნელია. როგორც წერა კითხვის, ისე გეოგრაფიის, გეომეტრიის და მუშეკის შესასწავლათ საჭიროა განსაკუთრებული მოწყობილობა. მათი წიგნები სულ ასობითავერულით არის შედგენილი, რომ გამობერილი ასოები უფრო ადვილათ გაიჩნეოდეს. ამიტომაც ბრძმათათვის დაბეჭდილი სახარება შეადგენს სამოკლა-ოთხ ტომს.

გეოგრაფიის შესასწავლათ საკუთარი რუკა აქეთ გაკეთებული, რომელზედაც მდინარეების და ზღვების ადგილები ჩაღრმავებულათ არის ნაჩენი, ქალაქების ადგილას პატარა ლუქისმების თავია ჩარჭობილი, სახელმწიფოების საზღვრები გამობერილი ხაზით არის ნაჩენები, ბრძემი თითებს წაუსტამენ ამ გეარ რუკას და ამითა სწავლობენ გეოგრაფიას. მუშეკას უფრო ყურათა სმენით სწავლობენ, თუმცა აქაც ნოტები გამობერილი ნიშნებით აქეთ დასტამული. მუშეკის



ბრძემი წიგნებს კითხულობენ.

ნას საკუთრივ იმიტომ, რომ ჩემო თვლით მენახა ბრძმათა თავ-შესაფარი, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ თავ-შესაფარმა; არა თუ ჩალის სკამების და კალათების დაწინამ და ფორტაპიანოზე დაეკრამ, მათ სხვა-და-სხვა წმინდა ხელსაქმების გაკეთებაშიც გამოაცა. სუფრებს და

თავლებმა იქ სახანავი უღდეს და მის ქვევით აღარ წავა. თუ თითონ მასწავლებელი ბრძმა, მანინ სულ სხვა მოწყობილობით ასწავლიან ბრძემს.

ამ ოცი წლის წინეთ შეეცარიაში მოგზაურობის დროს მე წავედი ქალაქ ლოზანს. წინა თვლით მენახა ბრძმათა თავ-შესაფარი, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ თავ-შესაფარმა; არა თუ ჩალის სკამების და კალათების დაწინამ და ფორტაპიანოზე დაეკრამ, მათ სხვა-და-სხვა წმინდა ხელსაქმების გაკეთებაშიც გამოაცა. სუფრებს და ისეთი სახეები გამოაყუდლათ, რომ ბერი თვალხილულიც ვერ მოახერხებს. ეტაყერკების მორთულობას შევნივრათ, წმინდათ კრიდენ. სულ პატარა ბეშებმა წამიკითხეს წიგნი და მერე დამიწერეს ქალაღზე ფრანგულათ სტამბური ასოებით, „ჩენი თავ-შესაფარის სანახავათ ხშირათ მოღიან სხვა ქვეყნებიდან“.




ბრძემისაგან ჩოტკების გაკეთება.

ერთ-ორ საათს ისე შევეთვისე ამ ბრძემს, რომ როდესაც გამოვედი ქუჩაში, ყველა ბრძმათა მიჩნენებოდა.

ეს რამდენიმე წელიწადი ჩვენ თბილისსაც ეღიროს ბრძანა თავმესაფარის გამართვა და იმედოვანი, თუ გერ ბევრი ნაკლუფიდანა და მოუწყობლობა ეტყობა, იმასაც თან-და-თან თავიდან აიცილებს.

ან. წყნოსისა.



კრიტიკული შენიშვნები.

(მოსავლის მკვლანი, ანუ სსსრკულო ცხოველებს და ფრანკულეი, შუგანშია იაკობ გავაკაშვილის მიერ, ოც და-სუთი სურათით. თბილისი 1896 წ.).



აკობ გავაკაშვილი ამ თავის წიგნს წინასიტყვაობით იწყებს და ჩვენც ამ წინასიტყვაობიდან დავიწყით ლაპარაკი, წინასიტყვაობაში გაუთინოდა ის აზრი, რომ ეს წიგნიკი უმეტეს სარგებლობას მოუტანს ყველას, ვინც კი მას წაიკითხავს და შეითვისებს კიდევ. ენაბით, რამდენათ ახერხებს ავტორი ამ აზრის, ანუ თავის სურვილის დამტკიცებას.

ბევრი შენიშვნადა ცხოვრებაში ამისთანა ფსიხოლოგიურ მოვლენას: ბევრჯელ ადამიანი ცდილობს, რომ უტკველოთ თავისი აზრი გაიყვანოს, თუმცა იმავე დროს ის დარწმუნებულია, რომ მის მიერ მოყვანილი საბუთები ან მეტათ გაზვიადებულია, ან არა აქვარა. სწორეთ, ამ გვარ კითხვა ბუნებრივად გამოადამიანი შედის მრავალ სხვა-და-სხვა შეცდომაში იმისთვის, რომ ჰსურს, სხვას დაუმტკიცოს თავისი საქმის უტკველი და ნამდვილი საქაროება და ამ გზით ძალა უნებურათ შეითვისოს მას თავისი აზრი. ყველა ამას ვაპოვობთ იაკობ გავაკაშვილის თხზულებაში და ვეცდებით კიდევ, რომ ეს ჩვენი აზრი დავასაბუთოთ იმდენათ, რამდენათაც კი შეიძლება ამ გვარ მცირე წერილობით.

ი. გავაკაშვილის მოჰყავს პარალელი, შედარება, კაცობრიობასა და ბუნებათა კანონებს შორის ანალოგია, მართალია, მიღებულია მეცნიერებაში¹⁾ როგორც იმისთანა საშუალება, რომლის ძალითაც აიხსნება მრავალი მოვლენანი ცაცის და ბუნების ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანი,—უფრო, რომელიც საქვეყნოთ ავრცილებს თავს აზრებს,—ფრთხილათ უნდა ეკიდებოდეს ამ გვარ გზას, რომ შეცდომაში არ შევიდეს და ამით ფხვ ქვეშ ნიადაგი არ დაჰქარ-

გოს... ბუნებათა და კაცობრიობის კანონებს შორის ერთი დიდი განსხვავებაა. ამათი ძირითადი სხვა-და-სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ბუნების კანონები უფლებას, ხოლო რაც შეეხება ადამიანს ცხოვრების წეს-წყობილობას, კანონ-მდებლობას, ეს წეს-ლებადი მოვლენაა. ასეთია აწინდელი მეცნიერების უკანასკნელი დასკვნა ამ კითხვის შესახებ და იმედოვანი გვაქვს, რომ ამის დასამტკიცებელ საბუთებს არავინ მოგვთხოვს. ხოლო, მართლა-და, რამდენათ შეუსაბამოა ბუნების კანონები კაცობრიობის კანონებთან, ამას ჩვენ მკითხველს ცხადათ დავანახებთ თვით ი. გავაკაშვილის წიგნიკიდან ამონაწერ ნიმუშებით. ათუ კანონებს გადავა, დაარდევს (კაცი), სასუქშიყოფა დასჯის მას, როგორც დამნაშავესა²⁾, დღემატურათ გვიქადაგებს ი. გავაკაშვილი. ჩვენ შეეხებოთ ამ წინადადებას აზრს იმდენათ, რამდენათაც კი შეიძლება დღევანდელ გარემოებაში და რამდენათ ჩვეთვის საქაროა. ი. გავაკაშვილის ჰგონია, რომ კაცობრიობის (თუ ვინღ სახელმწიფოსი) კანონები დაურღვეველი უნდა დარჩეს, რადგან მოწინააღმდეგე ამ კანონების უტკველოთ დისჯება; და რადგანაც ადამიანს საზოგადოთ არ უყვარს, რომ იგი დასჯილ იქმნას, ამისა და მრავალ სხვა მიზეზთა გამო ის ერთიება ცხოვრების სხვა-და სხვა უყულობართობას. კანონი, მართალია, სჯის ადამიანს, მაგრამ... მკაცრი ის არის, რომ ი. გავაკაშვილის აზრით უსათუთო უნდა დასაჯოს ვადე, რომ ბევრი არ ითქვას, ეს მეტის-მეტათ სასტკი და მკაცრი შედეგის აზრია, ახსნათ ეს რამდენიმე ისტორიული ფაქტით, ბევრმა ჩვენ-განმა კარათ იცის, რომ ბოლგარელები ამ ოცი წლის წინათ განუდღენ ოსმალის მთავრობას, ანუ—

ი. გავაკაშვილის ენით დრო ვთქვათ—სახელმწიფო კანონს გადავიდენ და დაარდევს. ჩვენი ავტორის აზრით, ბოლგარელები დამნაშავენი იყვენ და სასტკით უნდა დასაჯავ ოსმალის მთავრობას. რას ფიქრობდა ი. გავაკაშვილი თავის დროზე ბოლგარელების აჯანყების შესახებ,—ეს ჩვენ არ ვიცით; ხოლო ის კი აშკარაა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა თანაგრძობა გამოუცხადეს ოსმალისა-გან დღევილ ამ ხალხს; რუსეთი ჩაერია ამ საქმეში და ბოლგარელებმა თავისუფლება მიიპოვეს კიდევ. ზღეს ოსმალეთის სახელმწიფოში ისეთივე ოქქალ-ჩოქალი დავს, როგორც ბოლგარელების აჯანყების დროს: კრიტიკის ბერძენთა ცალკე და სომხები თავის თავათ ბერძენთ ოსმალის მთავრობას, რომ ამის აზოურ კლანჭებს თავი დააღწიონ. არ ვიცით, როგორ ფიქრობენ ბ. გავაკაშვილი და ჩვენი მკითხველი, ხოლო ჩვენ თანაგრძობის ეუთუ-ლით ამ ჩაგრულ ხალხებს და ვისურვეთ მათთვის

¹⁾ უკვლავ, ნასწავლი და უკვიცი, სმარობს ანალოგის (შეადრებას).

ოსმალისაგან განთავისუფლებას, რომ თვისი ცხოვრების მსგელობა თვითონვე განაგონ. ერთი საბუთი კიდევ წარმოედგინათ მე და თქვენ, მკითხველო, რომ საპრესტოში მყოფ ქართველებმა ისურვეს შეერთება დანარჩენ ქართველებთან. ამისათვის დაიწყეს მათ ქართული ენის შესწავლა, გაქრისტიანება და სხვა. ამნარათ ესენი დაარღვევენ სპარსეთის სახელმწიფოს ძირითად წეს-წყობილებს ქანონს, რის გამო სპარსეთის შაჰი მოწინააღმდეგე კანონებებს სიკვდილით დასჯის და სწორეთ ისე, როგორც ახლა ისჯებიან ოსმალეთში სომხები. როგორ უნდა შევხედოთ ჩვენი მოძმეების მდგომარეობას? ამის პასუხი თვით მკითხველს მივანდით... ჩვენი დასკვნა ი. გოგებაშვილის აზრის შესახებ — ზოგიერთის დარჩება საეკვითა და გამოუჩვევლათ, ამისათვის ჩვენ მოვიყვანთ იმავე წიგნაკადან ერთ ადვოკატს, რომელიც დამტკიცებს ჩვენ სიმართლეს. ი. გოგებაშვილი ამბობს: „წინააღმდეგე შემთხვევაში, თუ ადამიანი უფიქროს პუნების მტკიცებაში, არ გაეგება-არ მისაი“ — ეწინააღმდეგება მისს კანონებს და არღვევს მათ, მაშინ იგი ისჯება ბუნებისაგან უფრო უღმრთეობათ, უფრო სასტიკათ... აი, სწორეთ ამისთვის ვთქვით შემოთ, რომ ი. გოგებაშვილის აზრით კანონის დამრღვეველი უსათუოთ უნდა დასაჯოს, ეს უნდა მოხდეს მაშინაც კი, როდესაც კანონი სრულებით არ შევფერება ცხოვრების მოთხოვნილებას, პირ იქით ბეროტების და უკუღმართობის მეტს არას მოგვრის მას, — ასეთი შედეგი აქვს ავტორის აზრს. თავის შემხედულება კაკობრიობის (სახელმწიფო) კანონ-მდებლობაზე ი. გოგებაშვილმა გადიტანა ბუნების კანონებზე და აქაც, რასაკვირველია, მარცხი მოუვიდა. დავიწყით იმითი, რომ ავტორს საქმარისათ ეერ წარმოუდგენია ბუნების მეტკველების შესწავლის მნიშვნელობა. 2) ეს მეცნიერება, შეძლებისა-და გვაართ გვასწავლის, თუ როგორ უნდა გუბნოდეთ ბუნების მოვლენებს. ყოველი ორგანიზმი ებრძვის ბუნების კანონებს და მოვლენებს და ამ საქმეში ადამიანს უნდა ებრძვოდ პირველი ადვილი. ადამიანის ბუნებასთან ბრძოლას ერთი სასარგებლო შედეგიც მოჰყვება: ადამიანი არა თუ სრულებით ემორჩილება ბუნების მოვლენათა, არამედ იგი ცდილობს და ბევრჯელ ახერხებს კიდევ, რომ ბუნების კანონები და მჯელენანი თავის სასარგებლოთ მომართოს. ადამიანი ებრძვის ბუნებას, ებრძვის მისი კანონების მკენებელ მიმართულებას, ებრძვის, რათა ეს მისი მკენე მიმართულები, მ.ს.დავე სასარგებლოთ შემოაკციოს. ამის

თანა მოქმედი ადამიანი — ი. გოგებაშვილის სამართლით, „ისჯება ბუნებისაგან უფრო უღმრთეობათ, უფრო სასტიკათ“... მართალია, ადამიანი ბუნების კანონს ეერ შეცდის, მაგრამ კანონის შედეგიც შეიძლება თავიდან აცილოს, მაგ., სტეცვა ბუნებითი მოვლენა და შედეგია ბუნების ამა თუ იმ კანონისა. მეცნიერება ჭიჭიკა დღეს იმისა ცდილობს, რომ ეს მკენებელი მოვლენა აცილინოს როგორმე კაციის თავს. ნიაღვრებს ახლა სულ სხვა ნარათ ექცევიან. გადასადებ სენებს წინ ეღობებიან... ყველა ამისთანებში ადამიანი წინააღმდეგობას უწყებს ბუნებას. საქმე იმაშია, რომ კაცი უნდა ცხოვრებდეს თანხმით იმ კანონებისა, რომელიც მის ცხოვრებას ბევრით ხელს უწყობენ, არ ეწინააღმდეგებიან მის ცხოვრების კეთილ-დღეობის და წინ-მსვლელობის გზას, განურჩევლათ ყველა კანონებისა, კაკობრიობის და დღენილება ექნება ეს კანონები, თუ ბუნებისა, თუმცა ბუნების კანონისათვის სულ ერთია — სულდგმული იმყოფება, თუ უსულო მის გავლენას ქვეშ... აი, კიდევ ერთი უმთავრესი განსხვავება ბუნებისა და ცხოვრების კანონებს შორის. მაშ რათ უნდა დასაჯოს ბუნების მოვლენათა დამრღვეველი კაცი? იმითომ რომ სასჯელი ეკუთვნის რომელიმე სახელმწიფოთ კანონის მოწინააღმდეგესაც. ამ მეორე შემთხვევაშიაც სასჯელი ეკუთვნის იმითომ, რომ პირველ შემთხვევაშიაც აუცილებელია... ამ ლაბირინტიდან (დახლართულ გზებიდან) ი. გოგებაშვილი, ჩვენი აზრით, ეერასადეს თავს ეერ დაახწყეს. თვითონ კი ჰგონია, რომ მეტათ ადვილათ და გამოარჯევეული გამოდის ამ ხითათიდან. იმისათვის, რომ დაუმტკიცოს მკითხველს: „ადვილი მეგობარი ანუ ზოარბი“ და კიდევ სხვანი (ამ დღენაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი) იღუბებიან კაციის ხელით მის უეციობის გამო, ი. გოგებაშვილმა მთელი საზოგადოებრივი და ბუნების კანონთა მკენება წინ გადმოაკვილოვა და ქვეშმართებას მოკლებული განმარტებით არია მკითხველის გონება. ჩვენიც კარგათ გვემის ცხოვრების სარგებლობა სახანუ-სათვის საქმეში, მაგრამ კაცმა რომ დარბაზი ააშენოს და ისიც ქვიშაზე და შიგ დასახლობს დედოფალა (ტიციანა), ეს კი, სწორეთ მოვახსენოთ, მეტის-მეტის ხუმრობაა...

საზოგადოთ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ცდილობს თავისი ცხოვრება გააუჯობესოს, სხვადა-სხვა ხალხებს სხვა-და-სხვა დროს თავისებურათ ჰქონდა წარმოდგენილი ცხოვრების აე-კარგონება. ის კი არა, ხალხის სხვა-და-სხვა ჯგუფებსაც (წოდებას, კლასს) კი თავისებურათ ესმოდათ, ცხოვრებაში რომელი მოვლენა იყო მათთვის სასარგებლო და

2) ავტორს ითქვამს არ ესმოდას ბუნების მეტკველების თეორიული მნიშვნელობა გაცისათვის.

რომელი მდინეში. ერთი სიტყვით, მთელი კაცობრიობა, მთელი ისტორიული ეთარების მანძილზე ეწეოდა დიდ შრომას: ყოველ შემთხვევის დროს ის ცდილობდა გამოეცვლია საუკეთესო ცხოვრების მიზეზები და შედეგით ასეთი ბუნების და ცხოვრების მიზეზების შესწავლას კაცობრიობის მიერ ჰქონდა ბედნიერების მიღწევა ცხოვრებაში. რაში მდგომარეობს ადამიანის ბედნიერება—ეს მოვლენა ბერის თაყვანსმთა აქვს წარმოადგენილი, თითქმის არც კი მოაპოვება ორი პირი, რომლებიც წერილობაში მაინც არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს ბედნიერი ცხოვრების შეგნების შესახებ. ვაჰარს თავისებურათ ესმის ბედნიერება და სამხედრო კაცს კიდევ თავისებურათ... ის კი აშკარაა, რომ ყველას ბედნიერება და კარგი ცხოვრება ერთი და იგივე ჰგონიათ. მაგრამ ამისთანა შედარება—ახსნა არ არის, იმიტომ რომ—რა არის კარგი ცხოვრება—ესეც შედარებითი მოვლენაა. საქმე იმაშია, რომ რაც ერთისთვის უძველეს მისაღწევ მიზანს შეადგენს, ასე ვთქვათ—იდეალია, ეს მეორის აზრით, თუ ფუძე ცხოვრებას არა ნიშნავს, უმნიშვნელო მაინც არის. მაგ., რასაც ჩაიდენს ერის კაცი, რომ თავის ბედნიერებას მიახწიოს, მას უარს ჰყოფს ლეთის მშობელი მოღვაწე: ამას ერის კაცის შრომა უნაყოფო და ფუჭი ჰგონია... ამ რამოდენიმე სტრიქონით ჩვენ გესურდა დაგვენახებინა მკითხველისათვის ის სიმწელო, რომელიც ძვეს ბედნიერების შესახებ კითხვების ახსნაში. რამდენათაც ჩვენ ვიცით, არც მწერლობაშია საკმარისათ გამოჩენილი ეს საქმე: იგი საკითხათვე არის დარჩენილი დღემდის... მიუხედავით ამისა, ი გოკებაშვილმა იკისრა და ავიხსნა კიდევ ის, თუ რაში უნდა ეხედავდეთ კაცობრიობის ბედნიერებას. იმან გადაჭრით დაასახელა ის მიზეზები, რომელნიც შეადგენდნენ ბედნიერების უძველეს საფუძველს. მას ამ კითხვის ახსნაში ვეჭვი აღარა აქვს, როდესაც ამბობს: „...ბუნებაც ხელს უწყობს კაცს, ემორჩილება, აჯილდოებს იმით, რომ ანიჭებს სამართლებს ჟანისას და ქანუას—ამ ორ ბუნებას ბედნიერებისას“ (2). ენაოთ, რამდენათ დატულია სიმაართე ამ წინადადებაში. ჯანის სიმაართე და სიმდიდრე შეადგენენ კაცის ცხოვრების გარეგან პირობებს; ერთა ეკუთვნის საზოგადოთ ადამიანის სხეულის ფიზიკურ მოვლენათა, ხოლო მეორე შეადგენს მის ეკონომიურ მხარეს. მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. ჯანსალობა და საკმარისი საკვები (ადამიანისათვის ტანსაცმელი, საფარი და სხვა)—ეს ხომ საერთო მოვლენაა, როგორც კაცისათვის და პირუტყვითათვის, აგრეთვე მცენარეებისათვისაც. სა-

ზოგადოთ თუ სხეული მოკლებულია თავის ფიზიკურ ცხოვრების დასაკმაყოფილებელ გარემობათა, მაშინ მისი ეთარება უსწორ მასწორო გზაზე დგება და ბოლო ეღება ან სიკვდილით, ან გადაგვარებით, ასე რომ სიმდიდრის, ანუ ქონების უპირველესი და ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ეს აკმაყოფილება ორგანიზმის (სხეულის) ფიზიკურ გარემობის მოთხოვნილებას. ამ გვართ ვიკვლიერ გარგანიზმი იცავს თავის თავს და შექმნილი გამოვლედს კიდევ—გაჩინოს და დატოვოს შთამომავლობა. ამ კითხვას რომ სხვა მარადან შეგნდართ, მაშინ იმასაც თვალ-წითლათ დავინახავთ, რომ ფიზიკური ძალა საჭიროა საკვების და სხვა ამ გვარ გარემობის საშოვნელათ.

დ. აღასნელი.

(შემდეგი იქნება)



ქნ, ჩემო სულო, რამ დატყავთაი რათ მოგუზნებია და უიმედოთ გულ-სელი ეგრე რათ დატყავებია, რათ ჩაეიყრია მხარ-ფრთახი, შორს დრუბელი უკან მფრე-ნია, ან მომაკვდავის სულდარ მკვრდზე რათ დატყავებია? —
 ნუ თუ მარტოკა რომ დარჩია, უმკობარო და უტოლოა, იმიტომ ძალა დატყავრე და მით გულება შენ პოლოა? რათ ან გრწამს, ჩემო სახარ

ლო,

რომ შენ ჟერ არ გუოლია
 სანდო და დასანდოპული
 მეგობარი და ტოლია?!

გამოდიდებე, ნუ გინახეს,
 ნუდარ ხარ ატრე მინარე

3) ჩასხული ჩვენია.

და, ვით სვლამ, გააფთრებულათ
მღელვარემ, დამქუხარე.
აგრეინდი, დაწეპინე,
ჩსარგნი ბორჯელს ბედისას,
არ შექმინდე მარე სვედრს
და ბორბტს ენას უბედისას!

—
არ შეკრთე, ჩემო ციურო
და ჭეშინურო დეიონო,
არ მოხიარა ტანჯვის წინ
ქელი და არვის ეიონო.
თვის უარ-მყოფელს, უშიძარს
შენ არ შეგშენის მონება,
გერც დაგიმონებს გურაგინ,
ჩემო ტანჯულო გონება!

—
დაე, რის ჭეშინჯ აღზრდილხარ,
გამელოვაროს იმ ცაშ
და შემოგარტყას გასს ჭიბრი
მრისხანე დედა-მიწამ!
გერ შეგჩერებს სვედის მთა
და უბედობის კორდებო,
აღუდლი! მდკენელ მტარაგლებს,
როგორსე გაუსწორდებო!

—
გელანია გზა შენი,
მორი და ავი-საკელი
და კვლად გელის ნაღველი,
ჭეშინჯ და ჭიბრი მარჯალი
მგრამ არ შედგე: გასსოვლებს
დანიშნულება შენა
და ის ავისრე ბორბტ ბედს,
რც შენთვის მოუჩინა!

—
ვინ იცის, იენება, გზა გრქელი
გერც ნასკვარი კალიო
და მიწველ ბეჭე წაგო
თავი და სული დალიო.
იქნებ გერ მიწველ შენს საგანს,
მიხანს და მადლ სურვილას,
მგრამ იმედათ სომ მაინც
მოაკლავ გულის წყურვილს!

და თუ ცხოვრებით დატანჯულს
და ხელ-აღბულს თაგზელა
შენმა მომქუეე მოვიღოს
შენ ბოლო შეა გზაზედა,
რა გაქეობა! სირეგენე
უმიცარ სადსის წესა:
იგი უარ-ჯეოფის ხშირათ მას,
რც მისთვის უკეთესა.

—
მხოლოთ სანამდე ცხოვრებდე,
არ მოგერიოს შავ-ბუდა,
არ ამოიღო გუდიდან
შენ გამარჯვების იქედა.
ეკმძლე ბორბტს სანამ სარ,
აღმოფხარ იგი მირათა,
გადადგე თავი ტანჯულათ
სამსსგერწლოთ, გასწარმათ!

ცხელი.

საქართველოს ისტორიის მასალა.



მას წინათ, სოველ ბედიაში (სამურზაყანო-ში) მტხოვრებ თვადრ შვილის ოჯახში შე-მხვდა ძველი სიგელი შედრული ასოებით ხელით ნაწერი, ალაგ-ალაგი ამ სიგელისა ვადაფხეკი-ლისავეით არის და მთელი აზრის ვაგება ძნელია, რა-დგანაც მთლათ ეერ ამოიკითხავს კაცი. როგორც ჩანს, ჩეენი დაკერიგებით, დაწერილი სიგელის შინაარსი უნდა იყოს თხოვნა თდ. ვარანცოვის მიმართ. ზოგი ერთი-ადგილები ამოიკითხეთ, რომელსაც ვიგზავნით ამა წერილით. შეიძლება რამე მასალათ გამოდგეს. დედანი ამა წერილისა მინდოდა გამომერთმია და რე-დექციაში გამომეგზავნა, მგრამ პატრონი არ დამე-თანხმა. მხოლოთ აღმითქვა: „ამისთანა სხვა-და-სხვა ბი-რებთან დაზნულოთ; თავს მოეუტრი ყველას და ვაღ-მოგეცმო“. თუ საკიროება მოითხოვს, შემიძლია მი-ვილო შრომა და თავი შევუყარო მე იმ ძველ სიგე-ლებს. *)

თეიმურაზ ჭიჭინაძე.

*) ფრად საჭიროა იმ საეკლესიო თავის მოყრად და დიდთაგ დავაგაგლებს ბ-ნი თ. ჭიჭინაძე, რომ შე-დახ უკლას ამ საეკლესიო რედაქციაში გამოგზავნიდეს.
რედაქცია

ს ი ზ ე ლ ი .

თელშური სიმღერები.

VI. *)

მოთხრობისაგან ივერიის მიმართა ცხოვრებისა ჩანს, რომელ, დროსა ზევის თამარის მეფობისასა აუზაზეთსა მთავრობდა დოლატო შარვაშიძე; შთამომავალნი მისნი, ყოფილნი თექვსმეტს, ანუ ჩვიდმეტ საუკუნოებში სანნი ძმანი შარვაშიძენი სახელდობრ, როსტომ, ჯიქეშია, და ყვაპუ, ძენი ზეგნაყისანი განყოფილან ურთ-ერთისაგან. უხუცეს როსტომს დაუპყრია თვის და წილათ ბირველი ადგილი აუზაზეთსა შინა მდინარე ზხიფიდან დაწყებული მდინარე კოდორამდე, საშუალ ძმას ჯიქეშიას მდინარის კოდორიდან მდინარის ლალიძგამდე, რომელსაც საზღვარსა დღესაც ეწოდების აუზაზეთის ენაზედ აბჭუაა, ესე იგი შუა ქვეყანა, ანუ სოფელი; ხოლო უმრწემესსა ძმასა ყვაპუს მდინარის ლალიძგიდან მდინარე ენგურამდე. ესე უკანასკნელი ნაწილი ავღერეულ დროებათა გამო ყოფილა უფრო დაკარიელებული მცხოვრებლებთაგან, ამის გამო ყვაპუს გადმოაუყვანია ზხიფიდან, ესე იგი უმფროსის ძმის საზღვრიდან ჩაოდენი. მე გვარნი თავადნი და აზნაურნი სახელდობრ; ანზაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარღანია, ზეგნაძია, ლაკობაძია, და აქირთაეა, რომლებთათვის დაუნაწილებია ესე საზღვარი, ხოლო თვისდა სახსოთ შეუცავს სოფელი ბეღია, ფახულანი და ბარბალო, (ახლანდელი სოფელი კოკი). ყვაპუ ესე გარდაცვალებულა რა, დაშთენილა ძე მისი მურზაყან, რომელსაც სამზღვარი ესე...“)... მცხოვრებლენთა აღუყვავილებია ადგილი და უწოდნია მურზაყანისავე სახელსა ქვეშე სამურზაყანო და უუფლნია სამურზაყანოში. შემდეგ მურზაყანისა უფლებდა ძე მისი ხუტუნია, ძენი ხუტუნიახი ლეონ და სოლომონ. უხუცესს ლეონს მიუღია მფლობელობა სამურზაყანოისა, ლეონს და სოლომონს გაუნაწილებიათ სახასო სოფლები; უხუცესს ლეონს შეებედრია სოფელი ბეღია, რომელსაც დღემდე უფლობენ ძენი მისნი, ხოლო სოლომონს ნაწილათ ზღომია ბარბალო (კოკი) და სოფელი ფახულანი დაშთენილა გაუნაწილებლათ მფლობელობასა ქვეშე უხუცესის ძმისა ლეონისას ვითარცა სამურზაყანოისა მთავრობის საზაფხულო.

სოლომონისაგან წარმოსდგნენ ექვსნი ძენი 1 მანუჩარ უკანასკნელი მფლობელი სამურზაყანოისა 2, ბეგან, 3 სორეხ და სხვანი.

ეს წერილი დედანიდან ისეა ამოწერილი, როგორც იქ არს.

თ. გ. ჭიჭინაძე.



ურამბან ჯარი შეჰყარა—
ერსთიანი ყმანია.
სადგომლათ მაგათ არ ეყოფოდათ
შირაქის მოედანო;
სასმელათ მაგათ არ ეყოფოდათ
მტკვარ-იორ-ალაზანიო;
სამოერათ მაგათ არ ეყოფოდათ
ლალ-თრიალეთის მთანო.
ახლ მიჰმართეს არაგვისაკენ —
აღმ შედარუნეს წყალნო,
აქსა 1) მივიდენ ციხისა ძირსა —
„შინამ ხარ, ივანუროა“.
— შინა ვართ ბიძა-ძმისწულნი,
ერთი სხვაც გეტანავ კარგოა.
ჯერა ჩვენ ვაქმევთ მწარე სადილსა,
მერე მოგვივლენ ხეცსურთ ყმანო.
ისარიც ბევრი დავხოწეთ —
ჯორის გამოგვიც ცალიო;
ტყვია წამალიც ბევრი გვაქვს,
თოვის გვიკიდეს ჯარიო;
ასეთი საქმეც არ გვიყოთ
ბაშტიო 2) არ დავეთფხზინოთ თხანო,
ისეთი საქმეც არ გვიყოთ
ციხით არ გამოგვისხათ დანიო.
ციხე გვიდგ ხუროთ ნაგები—
კუთხით არ მოგვიწოდოთ ქვანოა“.
ქალო, ვინამ ზინარ ღორღოვანასა 3) —
მამა წავიწყებდებ მყედარიო!
ლაშქართა რად ჩასაწველ
სახაოსი 4) გზანიო.
ლაშქარი სახოს ვერას ჩავიდოდ —
გზა ჰქონდ სახვერიანიო.
კიდენა, ქალო, ჩაწითლდებოდა
თავქვე ჩამდინარ წყალნიო.

*) ის. „გველი“ № 17.

1) აჭა ხეცსურების სოფ. დეიქობის ხეობაშია, ხოლო ამ დეიქობის აჭა კი არ გავით რომება; უთუოთ მთიულებს უნდა იყოს.

2) კომი, ბოსქლი.

3) ადგილი ანანურის ახლოს.

4) მოსკეთ სოფელი.

*) ერთი სიტყვა ვერ ამოგვიტოვეთ, წაშლიდა.

მცირე შენიშვნა.

კნ. დარია ფაღავას წერაღის გამო („ივერია“ № 87).



რენ გვეგონა თუ იმ უკუღმართ დროში, როდესაც ქართული სალიტერატურო ასპარეზობა ასე დევსა ჩვენ ზოგიერთ მოღვაწე მამაკაცთა წყალობით, რომელნიც არავითარ უმართებულა და ლიტერატურის შეუფერებელ საქციელს არ ერიდებიან, ოღონდ კი შებღალონ მოწინააღმდეგის წმინდათა-წმინდა გულის-პასუხი და მისწრაფება, ქართველი ქალი მოპირებულნი იქნებოდა ამ პართიულ მწიკელსა და, როგორც ყოველთვის ყოფილა საქართველოში, რომ უწინ ქალი აფაქიზებდა ზნეობარეს მხარეს მამაკაცთა და ფესვივე აქრობდა ქვეყნისთვის მავნებელ უთანხმოებას, დღესაც ისე იქნებოდა, მაგრამ ვაი!.. თურმე ახლანდელი ქართველი ქალიც იმავე მწიკელოვანების ჯურღმულში აპირებს ჩაფლვას, როგორც მამაკაცები. ამის სამწუხარო მაგალითს წარმოგიდგინებს კნ. დარია ფაღავას წერილი, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ „ივერიის“ № 87-ში. ამოვიკითხეთ ამ წერილიდან სტილისტური მარგალიტები ბუნდოვანობისა: „უგუნური სიტყვის წამოწმებით“, „როტკას ძალ არ უძის“, „ბუ ღაჭინა“, „უგვანი აზრის“, „უფრო უარესად გაება თავის წუმბეში“, „აეს უგვანი გადმოქართველებული მეგრული“, „არგვანი გავი“ და სხვა.

ჩვენ ამ სტილისტურ მარგალიტებისაგან შემკულ ყელ-საყიდს ვუძღვნი თვით იმ ქართველ ქალს, რომელმაც პირველათ წამოაღვა ფეხი სასაპრეზოთ ასეთი უებარი იარაღითა.

გავიგონა და ისტორიითაც ვეცით, რომ ძველათ საქართველოს დედებს შორის კოლხიდის ასულს პირველი ალაგი ჰსჭერია სახე-შეწინიერებით, ტან-ჯავარობით, ენა-კრძალულობით, ფიანდაზობით, მოჩინარობით და მკვირცხლ-დარბაზობით. ამავე დროს, გვონებ, გკუთვნის, აკილილა და დამანას“ ლექსი ძველი ქართველის ზრდილობა-სრული მანდილოსანების საგულისხმოდ შეთხზული:

აწინას გლიტე ღაჭინა,
ვით რომ ქვათგარი გასა“ და სხვა.

მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის გასულს, როცა ძველებური დედაკაციური სიქველე ზნეობრივი აღზრ-


დისა უკვე მოაკლდა ქართულ ოჯახს და ახლანდელი ქართული ოჯახის ასულები შეიქმნენ ნაყოფნი უნადაგო აღზრდისა, ყოველივე მოსალოდნელია მათგან, როგორც თვით მამაკაცებისაგან, რომელნიც ერთსა და იმავე უნადაგო ზნეობრივ-გონებრივ აღზრდის სურვაში იმყოფებიან. კნ. დარია ფაღავას ქართულ კითხვაში მცირე შეცდომა მოსვლია: „გადმოქართველებულნი“ მაგიერათ წაუკითხავს: „გადმოქართველებული“ და, როგორც უებარი სამშობლოს მოყვარული დედაკაცი, თავ-დავიწყებამდის გულის-წყრომას მისცემია და შეუთხზავს გ. წერეთლის მიმართ სასტიკი წერილი. კნ. დარია ფაღავასას რომ ქართული კითხვა ზედ-მიწევნით ეკადნოდა, რასაკვირველია არც თვითონ აიშლიდა ნერვებს და აღარც ჩვენ მოგაყენებდა შეურაცხავად. მაშინ ის გულ-დამშვიდებით იტყუდა თავისთვის: „თუ გაიმგრლებული მეგრელი შეიძლება ითქვას, რატომ გადმოქართველებული მეგრელი არ შეიძლება“.

აქ რა შუაშია მეგრელის არა ქართველობა. ჩვენ, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა საქართველოს მახრებში მცხოვრებნი ყველა ქარველები ვართ, მაგრამ ადგილ-მდებარეობის მიხედვით ზოგს გვექია მეგრელი, ზოგს იმერელი, ზოგს ქართლელი, ზოგს კახელი და მრავალი სხვა სახელი. განა არ შეიძლება მეგრელს მეგრული დაიწყებოდეს (და ქართლელის (გორის მახრის) მცხოვრების ზნე-ჩვეულება მიეღოს? და დარია ფაღავასი რომ ბძანებს, გ. წერეთელმა „მარგალისკუა“ განუფითარებლობის აღსანიშნავათ კი არ დაუძახა ერთს, ან ორს ვისმესო, არაჲდ „მეგრელის შეილობით“ გაიციხაო.—მერე და!.. მეგრელის შეილობა განა საკაცხავი სახელია? გიორგი წერეთელს რომ იმერლის შეილი დაუძახოთ, განა უნდა ეწყინოს? მე გონია, ყოველ კარგ ქართველს, რა მხარეშიაც დაბადებულია იგი, იმ მხარის შეილობა საქმბრათ და სასიქადულოთ უნდა მიიანდეს და არა საკიცხავათ. ხოლო ვინც იუკადრისებს და ითაკილებს ან მეგრელობას, ან იმერელობას, ან ქართლელობას, ჩანს, ის თვითონ არის მაგინებელი თავის სამშობლო კუთხისა და იმიტომაც უკადრისობს თავის კუთხის შეილობას. მერე და კარგია ასეთი საქციელი?.. თუ მართლა-და გ. წერეთელმა „მარგალისკუა“ მეგრელის შეილათ იხმარა და არა იმ აზრით, როგორც განვიმარტეთ, მაშაქ რა უნდა ყოფილიყო

ან თქვენთვის, ან სხვისთვის საწყენი. ხოლო თუ თქვენ, ან ზოგიერთ ვაჟბატონებმა შეურაცხყოფით მიიღეთ ეს სიტყვა, მაშინ გამოდის, რომ თქვენ თვითონ მიგანიათ მეგრელის შეილობა სათაიკლოთ: მაშასადამე მეგრელებისთვის გ. წერეთელს კი არ მიუყენებია შეურაცხყოფა, არამედ თქვენ და იმ ვაჟბატონებს, ვისაც თქვენ გამოსარჩლებიხართ.

არა, ბატონებო, სამშობლოს მოღვაწეობის სახელი სხვების განქიქვებით, ცრუ დაწამებით და კუდის გამობმით არ მოიპოება. თუ ენ, დარია ფალავასი მართლაც და ნამდვილი სამშობლოს გულ-შემატკივარი დედაკაცი ბძანდება; რატომ აქამდის არა ვიცით-რა ჩიხი ქველ-მოქმედებისა, როცა მის სამშობლო მხარეში და სამურძაყანოში წერა კოთხის საქმე ასე დაეკმუღია და ქართულს აღარაიენ-სწავლობს; ჩვენ ვფიქრობთ, „მარგალისსკუბზე“ კუდის გამობმას, ის ჰჯობდა, რომ ქართულ გაზეთებში ამოგვეკითხა ასეთი ამბავი: „დაარსდა ქართველთა დედათა წრე ენ. დარია ფალავას თაოსნობით, რომელიც თავის წმინდა მოვალეობათ რაცხს გამარაგლოს სამეგრელო-სამურძაყანოში პირველ-დაწყებითი სკოლებო, გაავრცელოს წერა-კითხვა და სასარგებლო ცოდნა ამ კუთხეებში. ეგონებთ, ასეთი მოღვაწეობით უფრო სანეტკას გვირგვინს დაიდგამდა თავზე ენ. დარია ფალავასი, ვიდრე ჩვენი პარტიული ვაშუაყების ცეცხლზე ზეთის დასნობი.

ბ. წერეთელი.



„მე თუ ინი!“

II *)



პარსეთის შაჰის სასახლე სადღესასწაულოთ იყო მორთული. ძვირფას ჩუქურთმით ნაკეთებ გუმბათზე ჩამოკიდებულ ქალის სინათლე მოკაშუკვე მზის სხივებით ეფერებოდნენ ოქროთ მოვარაყებულ იატაკსა და კედლებს, რომლის კუთხეებში დიდი ხელოვნებით ნაკეთები მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებანი იყო ამართული. დარბაზის შუა ალაგას იდგა სამეფო ტახტი და ზედ სამი ოქ-

როს სელი იდგა: შაჰისა, იმის ასულისა და სასიძო-სათვის. მარჯვნი და მარცხნივ ამართული მარმარი-ლოს სვეტები დარბაზის მაღალ გუმბათს მიჰბჯენო-დნენ, რომელზედაც ოქროს ასოებით ბრძენთა რამ-დენიმე შესანიშნავი თქმულებანი იყო ზედ წარწერი-ლი. სასახლის ეზო-გარემო გაჩირალდნებული იყო და, როგორც თვით სასახლეზე, ისე კარის ჯამზედაც, სადღესასწაულო ბაირალი იყო აფრიალებული.

სასიძოთ მომზადებულნი მეფეთა შეილები მარ-ჯვენით დასდნენ საგანგებოთ მათთვის მომზადე-ბულ სელებზე. მარცხენა მხარეს იდგა მეფეთა ამა-ლა და თვით შაჰის კარის კაცი. დარბაზში სრული მღუმარება სუფევდა, ყველა მოუთმენლათ მოვლო-და შაჰსა და იმის ასულის გამობძანებას.

აბა, შაჰის დიდებულთ ოქროს არგებით გადას-წივს თვალ-მარგალიტთ ნაქარგი სალოფარდა და მო-ხუცებულმა მამამ მშობლიური აღერს-თ ხელ-ჩაყი-დებული შემოიყვანა თავისი შეწინიერი ასული.

ბუკთა და ნალარათა ხმა გაისმა. ყველანი ზე-ზე წამოდგნენ და მორჩილებით მიესალმნენ შაჰსა და იმის ასულს.

დარბაზდა მეფე და დასდნენ სხეებიც.

— დიდებულნო მეფერო და მეფის წულნო, — წარმოთქვა შაჰმა, — ყველა თქვენგანი ღირსია ჩემის ასულისა, მაგრამ არჩევანი თვით მერიასია, — რომელ-საც აირჩევს ამის ნება! აბა, ჩემო ასულო, შემდეგი შენთვის მომინდვია!.. — ღიმილით უთხრა შაჰმა თა-ვის ქალს და გააჟღდა.

მერიამ ელვის უმაღლესათ შემოაგლო თვალი მთელ დარბაზს, მაგრამ ვისაც ეძებდა, ვერ დაინახა. „ნუ თუ მომაცუყა, მიღალატა!.. ან ვერ მოახერხა, რომ შემოსულიყო!..“ გაიფიქრა ქალმა და კარგათ დაკვირდა ამაღას. „ავერ მოსულა! ოჰ, დიდება ალლამს, რომ საწიზოზარ სიკვილის გადამარჩინა!..“ იმის დანახვა და მერიას აღკომა ერთი იყო.

— დაბ, არჩევანი ჩემია. — ამაყათ თქვა ქალმა და ხელი გაიშვირა ამაღას მიდგომ ჰაბუკისაკენ.

შაჰი საწე-გაფითრებული შეჰყურებდა ასულის ასეთ საქციელს... ენა დაება, სუნთქვა შეუჩერდა; როდესაც იმისმა დიდებულებმა შაჰის წინ წამოაყენეს ეს უცნობი ჰაბუკი, შეწინებდა მერიამ ღიმილით გა-დახვდა, ხელი გაუწოდა და გვერდით მოისვა.

საშინებლბა იყო ეს წამი, რე აგორკ შაჰისა, ისე

*) იხ. „გვალა“ № 19.

სხვათათვისაც. ყველა გოაცებულნი შემყურებდა ამ სურათს.

—ნუ გიკვირთ, ბატონებო, რომ მეფენი უარ ეყავ და ეს ჰაბუკი ვირჩიე! საქმროს არჩევა თვით ჩემმა პატრონმა, დიდებულმა შაშმა, მიმანდო და სრული ნება მაქვს, ამ უფლებით ვისარკებლო. ამისათვის გთხოვ, ჩემო ძვირფასო მამე, და თქვენიც, დიდებულინო, რომ ლოცვა-კურთხევა მოგვიძღვნათ მე და ჩემ საქმროს...

მოკეარული მამა აღარ ეწინააღმდეგა შვილის სურვილს და სამხიარულო ზემის ხმა გაათქცდა მთელ საბძანებელში.

III.

—ეს უმაწილო კაცი ვინ არის, ერთ წუთს რომ არ გშორებდა—ჰკითხა მერამ თვის ქმარს.

—ჩემი მსოფი, ყოველი ჩემი სურვილის აღმასრულებელი, მაგრამ მეტის-მეტათ შემაწუნბამიუგო ჰასანამ.

—ჰო, სწორეთ მართალი უნდა გითხრა, მეც ძალიან მაწუხებს. რაა, რომ სულ კულში დავედევს!

—აბა, ბატონო, ახლა რას მიბრძანებ? მოახსენა მსლემ.

—წადი და დარაჯები დაათვალიერე; ხომ არ ძინათ.

მსლე გავიდა. ჰასანი მიუბრუნდა ცოლს, უნდოდა მალოერსებოდა, მაგრამ ხვის ამოღებაც ვერ მოასწრო, რომ იგივე კაცი შემოვიდა და „ახლა რას მიბძანებ“ო მოახსენა.

—ახლა წადი და გაიგე ჩემ წისკილში რა ამბავია.

იგი გავიდა. ჰასანა კიდევ მოუბრუნდა ცოლს, მაგრამ მსლე იქვე გაჩნდა და მოახსენა.

—გახლდი თქვენ წისკილში, თქვენ მაგეერთ სხვა მიწისკილზე არის და საუქვავეც ბლომათ მოუტანიათ. ახლა რას მიბძანებ!

—რაღა გიბძანო, საქმე აღარაფერი მაქვს, მერე, ჰო, წადი დასავლეთ სახელმწიფოში და ჩემი მერიათათვის აღმასის ფიალა მიყიდე და მომიტანე. აჰა, ფული, —უთხრა ჰასანამ და ოქროთ საცხე ქისა გადასცა.

მსლე გავიდა. უმაწილი კაცი ცოლს გადაეხვია, მაგრამ ტუჩის მიკარებაც ვერ მოასწრო, რომ იგივე კაცი შემოვიდა და წინ აღმასის ფიალა დაუდდა.

—ახლა რას მიბძანებ?

—სამინელებათა სწორეთ! ავტრ ერთი კვირათ ჩემ შეენიერ ცოლს შეეყურებ და ერთი წუთი თავისუფალი ვერ მიზოენია, რომ იმს ალერსით დე-

ტებ! დღე და ღამ თავს დამდგომინარ და „რას მიბძანებო“ მეუბნები; არაფერს არ გიბძანებ, გამშორდი აქედან... წარბ-შეკვრით უთხრა ჰასანამ.

—ვერ მოგვართი!.. მე პირობის ძალით ეთხოვლობ გამოუფლეველ საქმეს და თუ არ შეასრულებ ამ პირობას, მაშინ მე ვიცი! —ამაყათ მიუგო მსლემ და თავის პნეეთ დაიმუქრა.

—ახრებულთა, ღმერთმანი, ძალით მაცხონე გავანილა? ამოთხერთ თქვა ჰასანამ და ცოლს გადახედა.

„რადგან ასეა, ენაზოთ ვინ აჯობებს:—მე თუ ის!“ —გაიფიქრა მერამ, თვის გეული ნაწნავიდან ერთი ღერი თმა გამოიძირო და ჩუმთ გადასცა ქმარს.

—აჰა, შენ მსლეს ეს თმა მიეცი, გაასწოროს, გამართოს ისე, რაგორც ოქროს ძაფი და მოიტანოს.

ჰასანამ შესრულა ცოლის რჩევა...

გავიდა ორი კვირა, მაგრამ კაცი არა ჩნდა. ბუნდერი ცოლქმარი ერთმანერთის ალერსით ტკებობოდენ.

ერთ დილას კიბესთან ატუზული, თაგალუნული იდგა ჰასანას მსლე და ზევით ასეღას ვერა ჰბედავდა.

—ბიჭო! რა დავემართა, რაგორც დაიკარგე, რა უყავი თმა? —ჰკითხა ჰასანამ.

—ნურაფერს ნუ მკითხავ, შენი ჰირიმე, —დღერემილი სახით მიუგო მან.


—მარც რა დავემართა არ იტყვი?

—რაღა რა დამეართა. —შეცრცხვი და ეს არის! რა ოსტატურათ არ მოგიქეცი და რანაზათ არ ეცოდელებ შენგან მოცემული თმა, არტაშანიაც კი გავეკარი, მაგრამ არ იქნა და არა, ვერ გავასწორე: გამოვხსნიდი თუ არა არტაშანიდან, ისევე მოიგრიხებოდა. მაგრამ ქმარა ამაზე ლაპარაკი, ხომ ხელე გამიცრუედა იმდელ. მხოლოთ ერთს გკითხავ და თუ კაცი ხარ, მართალი მითხარო: ეს ოინი შენ მოიგონე, თუ ვასწავლა ვინმემ?

— ჩემმა ცოლმა მასწავლა და თმაც იმან მომცა.

—ჰო, და რადგან მასეა, ჩემზე უფრო ეშმაკი გვერდით გყოლია და მე რაღას გავაწყობ! აჰა, ეს შენი ხელწერილი, ჩქარა გამოიპართე, ჩქარა, ჩქარა! ნეტავი ჩემ სულს არ დამატოვინებდეთ, თორემ თქვენი სული თქვენვე გქონდეთ. —უთხრა მსლემ, საჩქაროთ მაჩინა ხელში პირობის წერილი და უგზო-უცლოთ გაქრა.

განდკელი.



სალიტერატურა შენიშვნები.

II *).



„უდეკალენტებს“ არა აქვთ რა საერთო პოეზიასთან, ნამდვილ და საღ პოეზიასთან, რადგან, ასე ვთქვით, გადახტენ, გაშორდნ მას, არც „ულტრა-რეალისტებს“ ჭ „ნატურალისტებს“ აქვთ-არა მასთან საერთო, რადგან ესენი არ აკმაყოფილებენ თავდაპირველ მათხზონილებას პოეტურ შემოქმედებისას, ფანტაზიას სრულიად არ უთმობენ ადვილს თავიანთ ქმნილებაში; ხოლო უწყაანსკეული პოეზია წარმოუდგენელია, რადგანაც ის „ისეთა ხელოვნება არის, რომელიც სიტყვის საშუალებით ფანტაზიას მოძრაობაში მოიყვანს“, როგორც შოპენ-ჰაუტერი ამბობს... „ის კი არ არის, კაცს სულ-ყველაფერი უთხრათ, ის არის, რომ იმას სულყველაფერზე იკნება აუშალოთ“, როგორც სენ-ბიოეა განმარტებს 1). ამ ნაირთ, თუ „დეკალენტები“ გადაცდენ პოეზიას, „ულტრა-რეალისტებმა“ და „ნატურალისტებმა“ ვერც კი მიაღწიეს, ვერც კი მიწოდნ მას. პირველი კი არ შემოქმედებენ, არამედ ბოღდენ, ხოლო არც მეორენი შემოქმედებენ და ხელოვნობენ, არამედ ხელოსნობენ; კი არ ჰქვნიან, ასლს იღებენ, უბრალო გადაშვრის რაღოთი კმაყოფილდებიან... მაშ, როგორაო, იკითხავს მკითხველი, თუ დღეს, როგორც ბ. ი. მ—ა ამბობს, ორი მიმართულება პოეზიაში, „ხელოვნებისთვის ხელოვნება“ და „უხელოვნო ხელოვნება“ და შენ ორივეს უარყოფენ, რაღას აძლევ ადვილს და რა ჰქვია იმ მიმართულებას, რომელსაც თანაუგრძნობ და რომლის მიმდევარიც ხარო? ამაზე უნდა ეუბასუხო მკითხველს, რომ, ვარდა ამ ორ მიმართულებასა, ყოფილა, არის და იქნება კიდევ ერთი მიმართულება, მიმართულება ნამდვილი, სალი, რომელსაც შეგეძლოა ეწუოდოთ ქვეშარტი ხელოვნება (ИСТИННОЕ ИСКУССТВО) და რომელშიაც შერთებულა და შეკავშირებული, როგორც ვთქვი, იღესა და ბუნებაც, აზრი და ქვეყანაც და რომლის წარმომადგენელიც არიან ყველა დიდებული პოეტები, ჰომეროსიდან დაწყებული. განა მარტო დიდებული? ყველა პატარა ნიჭის პოეტებიც, რომელთაც კი ერთა ნამცევი მაინც უღვივისთ გულში იმ ლეთიურ ნაპერწკლისა, რომელიც ჰქმნის ადამიანს პოეტათ და რომელსაც შემოქმედებითი უნარი (ТВО-

ческий дар) ჰქვია, პოეტა იმიტომაც არის პოეტო, რომ აერთებს, აკავშირებს, ერთათ შეადულებს პოეტონის იღესაც და არისტოტელის ბუნებასაც და მოგვიძღვის სრულ შეფინიერებას და არა ცალმხრივს. რასაკერეელია, ზოგი პოეტო უფრო მეტ ადვილს უთმობს ერთ რომელსამე, ან იღესა, ან ბუნებას, ხოლო რამდენათაც დიდებულია პოეტო, იმდენათ ეს ორივე თანაწორათ გამოხატება მის ქმნილებაში, როგორც; მაგალითათ, ჰომეროსის „ილიადაში“, დანტეს „ღვთიურ კომედიაში“, შექსპირის ტრაგედებში, გეტეს „ფაუსტში“, რუსთაფლის „ვეფხისტყაოსანში“, ბართაშვილის ლირიკაში და სხვაში. ამიტომაც საკერეელია, რატომ არაფერი თქვა ამ ნამდვილ ხელოვნებაზე პატეცემულმა ბ. მ—ამ, როცა მოიხსენია ერთი მხრთ „ხელოვნებისთვის ხელოვნება“ და მეორე მხრთ „უხელოვნო ხელოვნება“, რადგან, როგორც ენახეთ, თვითოეული მათგანი, ცალკე აღებული, ან „დეკალენტები“ იქცევა, ან უბრალო ხელოსნობათ, ხოლო არც პირველი და არც მეორე პოეზია, როგორც შეფინიერი ხელოვნება, აღა არის...

არ შეიძლება არ შეგზრდეთ აგრეთვე ბ. ი. მ—ას წერილის მეორე ადვილზე. გვაჩვენა-რა, რა განსხვავებაც არის პროზასა და პოეზიას შუა, პატეცემულმა ავტორმა, წარმოთქვა: „როგორც პროზას, ისე პოეზიას საფუძველათ ქვეშარტიცაა აქეს და ამიტომ პოეზია, რომელიც ქვეშარტიცაა არის მოკლე-ბული, რაც უნდა შეფინიერი იყოს მისი ფორმა, დღენაკლულია. მხოლოთ მეორეს მხრით პოეზია, რომელშიაც მარტო კარგი აზრია გამოხატული, მაგრამ ეს აზრი არ არის ჩამული კარგს ხელოვნურს ფორმაში, კიდევ უარესია. ამ ორ ჭირში ისევ პირველი უჯობს, რადგანაც თავი და პირველი პოეზიის ის არის, რომ პოეტოც ქმნილებას კარგი ფორმა ჰქონდეს“-ო. ამ აზრის პირველი ნახევრის წინააღმდეგ არა ითქმის-რა, თუცა უნდა გამოტყდენ, მე ყოველთვის სიცილს მეგრის, როცა პოეზიას დაუწყებენ განაწილებას და ამბობენ ცალკ-ცალკე აზრზე და ფორმაზე, ხოლო მეორე ნახევრის წინააღმდეგ კი საჭიროა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. თავი და პირველი პოეზიის ის განლავსთ, რომ ის პოეზია იყოს; ამისთვის კი სრულიადაც არ კმარა მარტო კარგი ფორმა უშინაარსოთ, უაზროთ, როგორც ცაცხალი არსებისთვის არ კმარა მარტო სხეული უსულოთ, თუნდაც თვით აპოლონის სხეულს მოგაგონებდესთ იგი. თქვენ შეგძლიათ, ტენიკის მხრივ შეფინიერი ლექსი დაწეროთ, რომელშიაც საესებთ იქნება დაცული რითმაც და ცეზურითა და რითმითაც იქნება შექმული, მაგრამ თუ მასში აზრი არ იქნება, ის იქნება სიტყვე-

*) ის. „კვლეო“, № 18.
 1) „პოეზია, როგორც ხელოვნება“, მთავარი № I, 1897 წ., გვ. 71 - 72.

ბის გროვა და არა პოეზია, როგორც ცოცხალი არსება, რომელსაც სული ამოხდა, ლეშა და არა ცოცხალი არსება. მაგალითათ, ლექსი:

Рано утрожь, вечеркомъ,
Поодно на разсвѣтъ,
Баба ѣхала верхомъ... და სხვა.

სრულიადც არ არის პოეზია, თუმცა როგორც ზედვით, გარეგანი ფორმა უნაკლებოა. „შენიერმა ქმნილებამ უთუთო უნდა შეაყვაროს თავი კაცს თავის სიშენიერით, უთუთო უნდა გაიტაცოს იგი ისე, როგორც შენიერმა ქალმა“ო, დასძენს ბ. ი. მ—ა თავის ზემოთ მოყვანილ აზრს და იმას კი აღარ ამბობს, როგორ შეიძლება, მაგალითათ, იმ ნაირმა ლექსმა, როგორც „рано утрожь, вечеркомъ“ არის, ვინმე გაიტაცოს თავისი შენიერი ფორმით? ვიმეორებ, მართა ფორმა, რაც უნდა შენიერი იყოს იგი, არ შეადგენს პოეზიას, როგორც შენიერ ხელოვნება, არამედ საჭიროა შენიერის აზრის, შენიერის შინაარსის, როგორც ცოცხალ არსებასთვის საჭიროა სხეულიცა და სულიც, განუყრელათ, განუშორებლათ. ცალკე-ცალკე აღებული შენიერი აზრი და შენიერი ფორმა პოეზია არ არის, ხოლო ერთათ პოეტისგან შერთებული და შესისხლ-ხორცებული იქნება პოეზია. პოეტისგან-მეტეი, იმიტომ ვამბობ, რომ ყველას კი არ შეუძლია შენიერების შექმნა, თუნდ თავის თავათ აზრს შენიერი აიღოს და შენიერთაც გალექსოს. მაგალითათ, ლექსი:

„ბძოლად სტყავთ ჭეშმარიტების,
ბძოლად სტყავთ წამებულის,
ბძოლად გონებით ღვი-მატყმასთან
აწის ნაწილად სთნოებისა“...

სულაც არ არის პოეზია და არ არის იმიტომ, რომ ამ ლექსის დამწერი არ არის პოეტი, არ არის ზეგარდმო მაღლით ცხებული შემოქმედი, არამედ უბრალო მომკვდელია, რომელსაც აზრებიც უტრიალდებენ თავში და ლექსთა-წყობაც ემარჯვება. ახლა აიღეთ, არამც თუ რომელიმე ლექსი მართლა პოეტისა, არამედ უბრალო წერილიც კი მისი, მაგალითათ, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ან გრიგოლ ორბელიანისა და თქვენ მაშინვე იგრძნობთ, რომ პოეტთან გაქვთ საქმე, ლეითური ცეცხლით აღზნებულ და შემოქმედებრივი ძალით მომადლებულ პოეტთან. ხშირათ ლექსთა-წყობა ზოგიერთ პოეტს ზოგიერთ ლექსში ძალიან კოქლობან, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ ეს, რადგან ვატყობთ ხართ ნამდვილი პოეზიით. ჩვენ პოეტებზე რომ არაფერი ვთქვათ, თურმე თვით ამ საუკუნის პოეტთა მეფესაც ბიარონს, აქვს ეს ნაკლებეანება. მაგალითათ, მის „კაენში“

„შეილება შეხედეთ იმისთან სტრიქონებს, რომელნიც ცნობილი არიან, როგორც ძნელათ წასაკითხნი“ო, ამბობს ერთი რუსის მწერალი (Сочинения Шелли, переводъ съ Англійскаго К. Д. Вальмонга, вып. 3. Стр. 22). მიუხედავთ ამისა ბიარონის „კაენი“ დიდებული ნაწარმოება და ერთი უპირველესთაგანი ადვილი უქირავს მსოფლო პოეზიაში.

„რა აზრია პოეტურ ქმნილებაში, რამდენათ სანარგებლოა ის,—ეს მეორე კითხვაა, ისე, როგორც მეორე კითხვაა, ჰეკიანია თუ არა ის ქალი, რომელმაც თქვენ გაიტაცათ თვისი სილამაზით. თავი და პირველი ის არის—შენიერი ხელოვნების ქმნილება შენიერი იყოს და გულს აამბედეს“ო, აბოლოგებს თავის აზრს ბ. ი. მ—ა, ის. მ—ა, რომელმაც ცოტა ზევით აღიარა: „შენიერების გამომატეველმა ხელოვნებამ უნდა დაუახლოვოს ჩვენი სულიკეთილსა, ქეშმარიტების და შენიერების იდეალს; უნდა აღგავაძალიტებს ჩვენ შევაყვაროს სულ ყველაფერი, რაც არის კარგი, შენიერი, მაღალი, დიდებული. უნდა მიმართულება კეთილი მისცეს ჩვენ ზნეობასა, უნდა „გვაზნაუროს“, როგორც ამბობდა ბატონიშვილი დავით, ჩვენი ბუნება, დაბადოს ჩვენში სიყვარული იდეალისა, დაუსრულდებლოს, ერთი სიტყვით იქონიოს ჩვენზე არა მარტო ესტეტიკის ზედმოქმედება, არამედ მორალურიც“ო. გამოდის, რომ სიამოვნება და სარგებლობა როგორღაც ვერ შორდებიან ერთმანეთს და ერთნაირათ უნდა გამოამდინარებდნენ ყოველ შენიერ ხელოვნებიდან საზოგადოთ და პოეზიიდან კერძოთ. ეს ასეც არის და სიამოვნება და სარგებლობა თანსწორათ მოჰყვება შედეგათ ყოველს პოეტურ შემოქმედებას, როცა უკანასკნელი თავისუფალია და არა ნაძალადევი, გამოტანჯული (вымученный); როცა იგი რეალურია, ქეშმარიტი, ე. ი. გამომახველი ნამდვილი ცხოვრებისა და როცა ცხოვრების გამოსახვის დროს წერილმანებს ან სულ არ ენება, ან ენება მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ეს საჭიროა არსებით მოელენათ ასახსნელათ და მთელს ძალას ამ უკანასკნელთა გამოსახვის ანდომებს. ხოლო, რომ პოეტური შემოქმედება იყოს თავისუფალი, ქეშმარიტი და ცხოვრების არსებით მოელენათა გამომახველი, საჭიროა, რომ პოეტი თვით ბუნებისგან იყოს დაბადებული პოეტათ, იყოს გულწრფელი და თავის დროის შესადარათ განათლებული და განვითარებული. როცა ასეთი იქნება პოეტი, მაშინ მისგან შექმნილი პოეზიაც ერთსა-და-იმევე დროს შენიერიც იქნება, ქეშმარიტიც და სანარგებლოც, ე. ი. ყოველისფრით სრული და უნაკლებო. „რომანტიზმი“ მხოლოთ თხოულობს,

რომ პოეტური შემოქმედება თავისუფალი იყოს და არა ნაძალადევი, „ნატურალიზმი“ — რომ იგი სიმართლით მსახვედეს ცხოვრებას და არა ფერ-უმარილიანებდეს, არც აწვებათაზიანებდეს, ხოლო „უტოლიტიზმი“ — რომ იგი მსახვედეს და ხსნიდეს მართოცხოვრების არსებობს მოვლენათა და არ ცხებოდეს წერილმანებს. ჩემის აზრით კი პოეტურ შემოქმედებაში ყველა ეს შეერთებული უნდა იყოს და არის კიდევ ყოველ ნიჭით მომადლებულ, ტალანტიან, გულწრფელ და განვითარებულ პოეტის შემოქმედებაში. ის კი, ვისაც ან ტალანტი და ან ნიჭი აქვია, ან გულწრფელობა და წმინდა გრძობა და ან განვითარება და განათლება — ტყუილთა ცდება, როცა კალამს იღებს და პოეტურ შემოქმედებას კისრულობს. ამნაირათ ყველა შემთთქუილიდან შეგვიძლია დავსკვნათ, რომ პოეზია მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი და სალი პოეზია; როცა მასში შეერთებული იქნება პლატონის იდეა და არისტოტელის ბუნება; როცა შევნიშოთ აზრიც ცნება და შევნიშოთ ფორმა და როცა ავტორს არ აკლდება არც ტალანტი, არც გულწრფელობა და არც განვითარება... აქ ვათავებ ამ წერილს, რომელიც სრულიად მოულოდნელათ ერთობ გავრძელდა და მომავალშიც, როცა დრო და გარემოება ნებას მომცემს, ვეცდები გავუზიარო ხოლომე მკითხველ საზოგადოებას ჩემი ლიტერატურის ამ თე იმ ღირს შესანიშნავ მოვლენაზე. პოეტურ ნამოქმედარის განხილვისა და დავსებების დროს ჩემი კრატერიუმი, საზომი, იქნება ის, რაც ამ წერილში გამოთქე, რომელიც ამნაირათ წარმოადგენს შესავალს მომავალი შენიშვნებისას ლიტერატურაზე.

დუშუ ლეკელი.

ქალაქი, რომელსაც გამოემქმედა ან თ. წყნარობა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე პ ა ნ ი .

თბილისის ძალაპის ბაზმობა ამ თ ახვადებს საყურელთათ, რომ 18 მაისს, 1897 წ. მოხდებდა თბილისის ქალაქის სამჭარს მხონების არჩენების ოთხის წლისათვის 1897 — 1901 წ. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე გამოცხადებს, კრება რომელ ადგილას შედგება და რომელ საათზე დაიწყება. 18 აპრილიდან 2-ს მაისამდე ქალაქის გამგეობის შენობაში, ყოველ დღე, კვარაუქმეს გარდა, სანამ მუშაობა არ შეწყდება, ამოპრჩევლთ შეუძლიანთ წარმოადგინონ მათ მიერ ხმონათ დასახელებულ კანდიდატთა ნუსხა, ამასთანავე

ამოპრჩევლთ 18 მაისს კრებაზე დასწრების ბარათი მიეცემათ, რომ ხმონსებათ ასარჩეე კანდიდატებს კენჭი უყარონ. ამავე დროს განმავლობაში ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის სახელობაზე კენჭი იღებდა წერილობითი განცხადება იმათგან, რომელნიც ხმონსობის სურვილს თითონეე განაცხადებენ და ყუთს დიდგავენ. ამოპრჩევლს, თუ ჰსურს, შეუძლია ქალაქის გამგეობისაგან მიიღოს 1892 წ. საქალაქო დებულებიდან ამოწერილი 24 — 33 მუხ., დაბეჭდილი დარიგება არჩენების წეს რიგის შესახებ და ბოანკები, რომელიც უნდა აღნიშნონ მათ მიერ ხმონათ დასახელებული კანდიდატები. თითონეულ ამოპრჩევლის მიერ სახმონათ დასახელებულ კაცთა რაოდენობა 96 არ უნდა აღემატებოდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ვისმე ამ რიცხვზე მეტა კანდიდატი დაუსახელებია, დათვლას დროს კანდატათ დასახელებულთა ჩათვლებიან მხოლოთ თეში მოხსენებული 96 კაცი. კანდიდატთა ნუსხის მიიღება 2 მაისს, ნაშუადღევს 3 საათზე. შეწყდება, რომლის შემდეგ დაბეჭდილი ყუთი ქალაქის გამგეობის თანადასწრებით გაიღება და ეს უკანასკნელი ყველა კანდიდატების საერთო ნუსხის შედგენას შეუდგება, რომელთაც ხმონსობისთვის კენჭი უნდა იყარონ, და ამასთანავე გამგეობა ცნობაში მოიყვანს რამდენი ხმით არის დასახელებული თითონეული კანდიდატგანი. კანდიდატთა, რომელიც არ ნაკლებ ხუთ ამოპრჩევლთაგან იქნება დასახელებული, კანდიდატთა საერთო ნუსხაში არ იქნება ჩაწერილი, იმათ გარდა, რომელთაც თითონეე განაცხადეს სურვილი, რომ ყუთი დამიდეთ და კენჭი მიყარეთ.

რწმუნების ქალაქი შეიძლება მიეცეს მხოლოთ იმათ, რომელნიც მოხსენებულ არიან საქალაქო დებულების მე-24 მუხ. მე-2 მუხის. და 25 — 7 მუხ.

1) იმათ, რომელთაც უფლება აქვთ არჩენებში მონაწილეობის მიღებისა, მზრუნველი არა ჰყავთ და ამასთან 25 წელი არ შეუსრულებიათ; 2) დედათა სქესისათ; 3) მამას შეუძლიან თვის გაუყრელს შეიღს მისცეს რწმუნების ქალაქი.

2) თუ რომელიმე ამოპრჩეველი კრებას ეერ დაესწრება, 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით, თავის მიგერ კრებაზე დასწრების უფლებას მიგერ ამოპრჩევლს ეერ გადასცემს და ამიტომ ამ გვარი რწმუნების ქალაქის გაცემა არ შეიძლება. (3 — 3)

ქურნალი „**წვეფილი**“ 1897 წ. გამოდის ყოველ თეე ე. ი. ხელის მოპწრელები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს და ქურნალი ღირს თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მანეთი.